№ 77

1877—1905

№ 77

სამშაბათი, 17 მაისი

სამშაბათი, 17 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამბტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. ბძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გ ა ჭ შვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ერთი საარჩევნო პროექტი

ტფილისის საბჭოს ხმოსანს, ბ-ნს ბ. ს. ესაძეს, ამ დღეებში ერთი წინადადება შეუტანია ქალაქის საბჭოში, რომელიც საქალაქო არჩევნების აწინდელ წესს შეეხება და მის შეცვლას თხოულობს.

ბ-ნი ესაძე ამბობს, რომ „საქალაქო საქმე მოქალაქეთა მარტო ერთის ჯგუფის საქმე არ არის“, არამედ—ყველასი, და ამიტომ საჭიროა, რომ ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეებში ყველა ეროვნებათა წარმომადგენელნი იღებდნენ მონაწილეობასო. ეხლა-კი მარტო ერთის ეროვნების წარმომადგენელნი არიან ქალაქის საბჭოში გაბატონებულნი და ეს კი ბევრის მხრით სამართლიანი და სასურველი არ არისო. სამართლიანობის განსახორციელებლად ავტორს საჭიროდ მიაჩნია, ქალაქის თვით-მართველობამ აღძრას კავკასიის ნამესტნიკთან შუამდგომლობა, რომ ტფილისისათვის, სადაც რამდენიმე სხვადასხვა ეროვნება ერთმანეთშია არეული, განსაკუთრებული კანონი გამოიცეს არჩევნების შესახებ. ბ-ნ ესაძის აზრით, ამომრჩევლები უნდა დაყოფილ იქმნენ ჯგუფებად, ეროვნების მიხედვით, და ამგვარად, არჩევნების დროს, უნდა შესდგეს ამომრჩეველთა კრებები: ა) ქართველებისა, ბ) სომხებისა, გ) რუსებისა, დ) თათრებისა, ე) ებრაელებისა და ვ) სხვა ეროვნებათა. ქართველებმა უნდა აირჩიონ 20 ხმოსანი (25 პროცენტი), სომხებმა—20 ხმოს. (25%), რუსებმა—20 (25%), მაჰმადიანებმა—12 (15%), ებრაელებმა—4 (5%) და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა -(4—5%) ხმოსანი.

ეს არის ის პროექტი, რომელიც ბ-ნმა ესაძემ შეიტანა ტფილისის საბჭოში.

ჩვენ წინად უკვე გამოგვითქვამს ჩვენი აზრი საარჩევნო უფლების შესახებ და აქ ცალკე აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბ-ნ ესაძის პროექტი საკითხს ისეთ ნიადაგზე აყენებს, რომელიც საკმარისი არაა „სამართლიანობის“ განსახორციელებლად. ავტორი არაფერს ამბობს იმ ქონებრივ ცენზის შესახებ, რომელიც კანონით საფუძველია ქალაქებში საარჩევნო უფლებისა. იგი სტოვებს უყურადღებოდ ამ საფუძველს და ებრძვის შედეგს, რომელიც ამ „საფუძვლის“ წყალობით წარმოსდგება. „საქალაქო დებულება“ ხმოსნის არჩევის უფლებას აძლევს იმ მოქალაქეებს, რომელთაც დიდი ქონება აქვთ. საქალაქო საქმეებზე რაიმე გავლენის სფერიდან გამორიცხულნი არიან ისინი, ვისაც მცირე ქონება აქვს ან სრულიად ქონებას მოკლებულნი არიან. ამიტომაც დღეს ტფილისის საბჭოში სომხის ბურჟუაზიაა გაბატონებული, რომელსაც ეკუთვნის უმრავლესობა ტფილისის სახლებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა. ბ-ნი ესაძე ამ ძირითად მიზეზს, რომელსაც არსებული ,,საქალაქო დებულება შეადგენს'', არ ეხება და უნდა რიცხვით ქართველები სომხებს გაუთანასწოროს. მაგრამ ეს პირდაპირი ულოღიკობაა, რომელიც სწორედ იმ ,,მიზეზის'' დაიწყებით წარმოსდგება. თუ ქალაქში ქართველი სახლის პატრონი ნაკლებია, ვიდრე სომეხი, იმ შემთხვევაში 20 ქართველმა, მაგალითად, რა საფუძვლით უნდა მოითხოვოს იმდენივე ხმოსანი, რამდენიც 40 სომეხმა? ცხადია, მეტ ხალხს მეტი ხმა ერგება და არა—ნაკლების თანასწორი. თუ „საარჩევნო კრებებში“, რომელსაც ბ-ნი ესაძე ასახელებს, მხოლოდ ისინი მიიღებენ მონაწილეობას, რომელთაც ხმის უფლებას აძლევს აწინდელი „საქალაქო დებულება“, ე. ი. დიდ უძრავ-მოძრავ ქონების პატრონები, იმ შემთხვევაში ლოღიკა ნებას არ გვაძლევს, ქართველებს ან რუსებს, რომელთაც შედარებით იმდენი სახლები არა აქვთ, რამდენიც სომხებს,—სომხებთან თანასწორი რიცხვი ვარგუნოთ ხმოსნებისა.

მაგრამ სულ სხვაა, როცა ნამდვილ სამართლიანობის პრინციპზე ვდგებით და საყოველთაო საარჩევნო უფლებას ვთხოულობთ. საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება, რომელსაც სომხის მსხვილი ბურჟუაზიაც კი თხოულობს სრულიად-რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის, აერთიანებს და ათანასწორებს ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ტფილისშიაც ეროვნულ ბრძოლას, რომელიც დღეს საქალაქო საქმეების ცალმხრივ მართვა-გამგეობის გამო არის გაღვივებული, ნიადაგი დაეკარგება, როცა საარჩევნო უფლება ყველას მიენიჭება, იმის განურჩევლად, აქვს ამა თუ იმ მცხოვრებს ქალაქში სახლი, თუ არა.

ბ-ნ ესაძის პროექტი იმ თარგზეა გამოჭრილი, რომ ქართველმა ამრჩეველმა ვითომ უეჭველად ქართველი უნდა აირჩიოს თავის წარმომადგენლად. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში, სადაც ინტერესთა წინააღმდეგობა და ქიშპობაა გაძლიერებული, მარტო ,,ქართველობით'' ან „სომხობით'' არ შეიძლება ხელმძღვანელობა. იქნება ამა თუ იმ ქართველმა ან სომეხმა ამომრჩეველმა თვისთვის უფრო თათარი ან ებრაელი აირჩიოს, რომელიც თავის მიმართულებითა და პრაქტიკულ მოღვაწეობით იმის ინტერესების ქომაგად უფრო გამოდგება.

საყოველთაო საარჩევნო უფლება კი სულ სხვა—ასე ვთქვათ, სოციალურ—ნიადაგზე აყენებს საგანს და შეძლებას აძლევს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, გამოსთქვას თავისი სურვილი და გავლენა იქონიოს ქალაქის საქმეებზე.

ეხლანდელ სომეხ ხმოსანთაგან ბევრნი ერივნენ იმ კრებულში, რომელმაც სომეხთა პეტიცია შეიმუშავა. იმ პეტიციაში პირდაპირ არის მოთხოვნილი საყოველთაო საარჩევნო უფლება დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის. იმედია, იგივე ხმოსნები თავის პრინციპზე უარს არა ჰყოფენ და საქალაქო არჩევნებისათვისაც ამგვარსავე უფლებას მოითხოვენ...

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ეხლანდელი საარჩევნო წესი ისეთი მახინჯია, რომ ბ-ნ ესაძის პროექტის განხორციელებაც შესამჩნევ განკარგებასა და გაუმჯობესებას შეიტანს ქართველ-სომეხთა ურთიერთობაში...

* * *

საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ.

გაზეთებში თითქმის ყოველ დღე იბეჭდება სხვადასხვა პროექტი წარმომადგენელთა არჩევის შესახებ. ამ პროექტების ზოგიერთი ავტორი „პრინციპიალურად“ ემხრობა საყოველთაო, თანასწორ, საიდუმლო და პირდაპირ კენჭის ყრაზე დამყარებულ საარჩევნო უფლებას, მაგრამ ჰფიქრობს, ამნაირ საარჩევნო სისტემის შემოღება რუსეთში ჯერ-ჯერობით ნაადრევი არისო, ხალხს ჯერ კიდევ მომზადება აკლიაო, ხალხი ამიტომ ამ უფლებით ვერ ისარგებლებსო.

ეჭვი არ უნდა იმას, რომ ზოგიერთი განზრახ ლაპარაკობს „ხალხის მოუმზადებლობის“ შესახებ, განზრახ აცხადებს, „ხალხს საკუთარ ინტერესების შეგნება აკლიაო“, ნამდვილად კი გუნებაში უღვივის სურვილი, ხალხს ამ ინტერესების დაცვის საშუალება მოუსპოს სრულებით...

მაგრამ იმის უარისყოფაც ძნელია, რომ ზოგიერთ გულწრფელ მომხრესაც „ხალხის მოუმზადებლობა“ აშინებთ...

გავიხსენოთ დასავლეთ ევროპის მაგალითები... იქაც, თავის დროზე, ზოგიერთი მცოდნე და ნიჭიერი ადამიანი აცხადებდა საჯაროდ, ხალხი არ არისო მომზადებული, აცხადებდა გულწრფელად და მაინც ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა.

საფრანგეთში, ჰაგ., ფურნიეს ცნობილი მოწაფე კონსიდერანი, ამის შესახებ სწერდა: ჩვენს დროში, საყოველთაო კენჭის ყრაზე დამყარებული კანონი ისეთივე იქნება, როგორც ცენზის მონოპოლიაზე დამყარებული... ვინაიდან საყოველთაო კენჭის ყრის დროს ამომრჩეველთა ცხრა მეათედს საქმის არავითარი გაცნობა არა აქვს: ისინი თავიანთ უფლების ნამდვილ მნიშვნელობასაც ვერ გაიგებენ, არ ეცოდინებათ, როგორ უნდა მოიხმარონ ახლად მიღებული ძლიერი უფლება. ხალხის გაბატონების წინააღმდეგნი იყვნენ საფრანგეთში ფურნიე და თვით სენ-სიმონიც კი.

როდესაც ინგლისში საარჩევნო უფლების გადემოკრატებას შეუდგნენ, ცნობილი მწერალი რობერტ ოუენი სწერდა: „მეტად გონიერად მიმაჩნია ამ ახალ რეფორმის წინააღმდეგობა... ამ რეფორმის მომხრეებს განზრახვა კარგი აქვთ, გულში სამშობლოს სიყვარული უღვივით, მაგრამ მაინც ვერ მოახერხებენ და ვერ გვიჩვენებენ, თუ რა პრაქტიკული შედეგი უნდა მოჰყვეს საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას, როდესაც ხალხი უმეცარია“...

გერმანიაში, თვით სამოციან წლებშიაც, საზოგადოება საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგი ყოფილა. ჟურნალ „Die neue Zeit“-ში რომლის რედაქტორადაც ცნობილი კ. კაუტსკია (1903 წ. № 24 გვ. 73), სწერია შემდეგი: გერმანელ მუშებს 1863 წელში საყოველთაო საარჩევნო უფლების საკითხი უფრო ნათლად ჰქონდათ გამორკვეული. ეს უფლება გერმანელ მუშებს 1418 წელში უკვე ჰქონდათ მინიჭებული, მაგრამ მას აქეთ ბონაპარტის ხელში იქაურმა მთავრობამ რამდენჯერმე გამოიყენა თავის სასარგებლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლება ისე, რომ ხალხმა ძალაუნებურად შეიტანა ეჭვი ამ უფლების სარგებლობაში. ეჭვის თვალით უყურებდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას მარქსი და ენგელსი, მუშათა ცნობილი ქომაგნი ალბრეხტი ლანგე და როდბერტუსი, და ბევრგან ამნაირ საარჩევნო უფლების მოწინააღმდეგეებად თვით მუშებიც გამოდიოდნენ... მუშათა მოწინავე ჯგუფები იმ დროს აცხადებდნენ გარკვევით: სანამ პროლეტარიატის უმეტესობა არ არის განათლებული,—საყოველთაო საარჩევნო უფლებაც მეტ ვნებას მოუტანს, ვიდრე სარგებლობასაო; რასაკვირველია, სამუდამოდ არ უნდა მოვუსპოთ საარჩევნო უფლება მუშა-ხალხს, მაგრამ მისი შემოღება ჯერ ნაადრევია, თუ არ გვინდა რეაქციას ჩავუვარდეთ ხელშიო. ამნაირად, 1863 წელს საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ შეხედულება ჯერ არ იყო თანასწორად გამორკვეული. საკმარისია ვთქვათ, რომ იმ დროს ისეთი პირები, როგორიც ბებელია, საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას ეწინააღმდეგებოდნენ.

მაგრამ როგორი შემცდარი გამოდგა ყველა! წინასწარმეტყველი წინასწარმეტყველს ზედ ასკდებოდა და ხალხი კი ამასობაში მომზადებული გამოდგა და დემოკრატიული წყობილება მის საპოლიტიკო აღზრდისთვის საუკეთესო სასწავლებელი გამოდგა...

ჩამოთვლილ მოღვაწეთა უიმედობა აიხსნება იმით, რომ ზოგიერთებისთვის საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება გაურკვეველ მომავალს ჰქმნიდა, ზოგიერთს კიდევ აშინებდა ბონაპარტის პლებისციტი საფრანგეთში.

ჩვენ ამჟამად უკეთეს პირობებში ვართ. დასავლეთ ევროპის მაგალითი თვალ-წინ გვიდგა: ცხოვრებამ იქ დაამტკიცა აშკარად, თუ რამდენად ტყუილია შიში, რომ ხალხი ვერ შესძლებს ისარგებლოს ამ უფლებით საკუთარ ინტერესების დასაცველად“.

ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხის კეთილდღეობა, ამას საყოველთაოდ უნდა ხედავდეს აშკარად და ამიტომ ახლა არ შეიძლება საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ ისევ იმ შიშის გამოთქმა, რომელიც დასავლეთ ევროპის ცხოვრებამ უარჰყო უკვე...

ტყუილია ისიც, ვითომც საარჩევნო უფლების შემცირება, შეზღუდვა დროებითია, სანამ საყოველთაო საარჩევნო უფლება შემოვიღოდეს...

აქაც საჭიროა შევისწავლოთ დასავლეთ ევროპის ცხოვრება.

ნუ თუ მართლა შეიძლება იმის თქმა, რომ პრუსიაში, ავსტრიაში, ბელგიაში და სხ. ამჟამად არსებულმა საარჩევნო სისტემამ ხალხს დაუახლოვა საყოველთაო საარჩევნო უფლების მიღება, განა სწორედ ამ ქვეყნების პარლამენტები, არ ეწინააღმდეგებიან საარჩევნო უფლების რეფორმას? ამ პარლამენტების უმეტესობა ახლა უვიც და განუვითარებელ ხალხს კი არ ერიდება, არა, იგი გაურბის განვითარებულ, მომწიფებულ და გამოფხიზლებულ ხალხის უმეტესობას (ს. ო.)

მ. ლ—ნი.

* * *

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

15 მაისი.

პეტერბურგი, 14 მაისი. 17 მაისისათვის არის დანიშნული გორემიკინის თავმჯდომარეობით იმ საგანგებო საბჭოს კრება, რომელსაც მინდობილი აქვს საგლეხო მიწად-მფლობელობა მტკიცე ნიადაგზე დაამყაროს. განსახილველია უმთავრესად შემდეგი საკითხები:) მიწერილობანი სამიწად-მფლობელო და სამიწად-მოქმედო უმაღლეს გამგეობას. 2) ინსტრუქციები საგლეხო ბანკებისა. 3) გლეხთა მიწად-მფლობელობის გასაუმჯობესებელი კანონ-მდებლობითი შრომა. 4) გლეხთა „ნადელების“ გამიჯვნის კანონ-პროექტი. 5) კერძო გლეხთა მიწად-მფლობელობის საკანონმდებლო საკითხთა განხილვა—მაგ., შეცვლა სხვადასხვა ადგილას ნაკუწ-ნაკუწ მიწებით სარგებლობისა, რომელიც საზარალოა გლეხთათვის, გლეხთა „ნადელების“ გაუქმება, დასავლეთ გუბერნიებში სერვიტუტების მოსპობა. რამდენიმე სხდომა მაისსა და ივნისში მოხდება. შემდეგ შემოდგომაზე განაახლებენ სხდომებს. გლეხთა კანონ-მდებლობის საგუბერნიო რჩევათა სხდომები თითქმის ყველგან დასრულდა და დადგენილებანი წარუდგინეს შინაგან საქმეთა მინისტრს. ამ კანონ-მდებლობათა საბოლოოდ დამუშავება შემოდგომამდე მოესწრობა.

მოსკოვი, 14 მაისი. დემონსტრაციები არ მომხდარა. საბჭოს დარბაზში მუშათა კრება არ შესდგა, რადგან ქალაქის მოურავმა წინა დღითვე შეატყობინა—დარბაზში არ მოხვიდეთო. საბჭოს პოლიცია შემოარტყეს. უნივერსიტეტში პროფესორთა თათბირით პედაგოგიურს ფაკულტეტს აარსებენ. ამ ფაკულტეტს უმაღლეს სწავლა დამთავრებულნი ქალნი და ვაჟნი მიიღებენ.

ვარშავა, 14 მაისი. ყველა ქუჩების მოსახვევში და მოედნებზე ჯარია დაყენებული. ჩამოვიდა 8 ორ-ბატალიონიანი პოლკი. „სკორაია პომოშჩ“-ის ცნობებით 19 დაჭრილია, ამათგან ხუთი ტყვიით. საავადმყოფოში სამი გარდაიცვალა.

ბერლინი, 14 მაისი. გაზ. „მედიცინიშეკლინიკ“-ი იუწყება: რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს, უნივერსიტეტში ლექციების საკითხავად ნემეცი პროფესორები მოიწვიოს მომავალ სემესტრისათვის.

სამარა, 14 მაისი. მუშაობა ყველგან განახლდა გარდა იმ სტამბებისა, სადაც მუშათა მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს. მეტამეტი დღეა გაზეთები არ გამოდის.

ლოძი, 14 მაისი. გუშინ გაიფიცნენ მუშები დიდს ქარხნებში, მათ შორის გეირალ გროსმანისა და შეიბლერის ქარხნებშიაც.

კრონშტადტი, 14 მაისი. ნავთსადგურის რაიონში სამხედრო რაზმები გუშინ კიდევ მოქმედობდნენ, მუშაობა თავის რიგზე მიდის.

კოვნო, 14 მაისი. საღამოს 8 საათზე ტილმანსის ქარხანას ცეცხლი წაეკიდა. გადიწვა მავთულის განყოფილების მთელი შენობა, ზარალი 35,000 მანათამდეა. ქარხანა დაზღვეული არაა. ცეცხლი განზრახ უნდა იყოს წაკიდებული.

ეკატერინოდარი, 14 მაისი. გუშინ, საღამოს 6 საათზე, პოლიციმეისტერის ბაღთან, ქუჩაში ტყვიით მოჰკლეს ეკატერინინის რკინის გზის სახელოსნოების გამგე—ბეზსონოვი. დაინახეს ორი კაცი, რომლებიც ბაღის ღობეზე გადახტნენ. ბეზსონოვს ტყვია ხელსა და გულში მოჰხვდა.

ჰელსინგფორსი, 15 მაისი. ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორი მოვიდა.

ლოძი, 15 მაისი. ვებერის ქარხანა თანახმა გახდა მოუმატოს მუშებს 15%. დამშვიდებული მუშები დაიშალნენ.

განჯა, 15 მაისი. განჯის გუბერნიის მემამულეთა კრება გაიხსნა. შეადგინეს პეტიცია კავკასიის ნამესტნიკის სახელზე თავად-აზნაურთა საჭიროებათა შესახებ.

მოსკოვი, 15 მაისი. კანნიდან მოვიდა დეპეშა სავა მოროზოვის სიკვდილის შესახებ. მორშანის პოლკის შესავსებლად პერმის გუბერნიაში მიმავალ ჯარის კაცებმა სკოპინსკში უწესოება მოახდინეს, პოლიცია საქმეში ჩაერია. დღეს ნოქრები დადიოდნენ ერთი მაღაზიიდან მეორეში და ძალით აკეტინებდნენ, ნიკოლსკის ქუჩაზე პოლიციამ გაჰფანტა ბრბო.

ოდესსა, 15 მაისი. საბჭოს გამგეობის ერთს წევრს მიენდო, მოელაპარაკოს ხორცით მოვაჭრეთ და შეათანხმოს ისინი საყასბოების გაფიცულ მუშებთან, რომელთაც ჯერ-ჯერობით თანხმობა გამოაცხადეს, ქალაქისთვის ვიმუშავებთო, რისთვისაც საბჭომ გადასდო 15,000 მანათი.

ლოძი, 15 მაისი. ქალაქში გაძლიერებული სადარაჯო რაზმები დადიან. გაფიცულთა რიცხვი 30,000 კაცს აღემატება.

პერმი, 14 მაისი. ასზე მეტმა მოწაფემ, რომელთაც დიდი ბრბო შეუერთდა, ქუჩებში ორჯელ მოახდინეს პოლიტიკურ ხასიათის დემონსტრაცია. რევოლვერებს, ქვებს ისროდნენ და ფანჯრებს ამტვრევდნენ. სამი ტყვიით არის დაჭრილი, ერთი პოლიციელია. გამოიწვიეს ერთი როტა ჯარის კაცნი. იარაღი არ უხმარნიათ.

უფა, 15 მაისი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ქალაქ უფაში გაძლიერებულ დაცვის წესებია შემოღებული.

სიზრანი. 15 მაისი. ადმირალ ბირილიოვმა ღამე გაიარა ვლადივოსტოკში.

ვარშავა, 15 მაისი. ქალაქის დაცვა რაც ჯარებს მიენდო, უწესოება შესწყდა. გუშინდელმა ღამემ მშვიდობიანად გაიარა.

სლავიანსკი, 15 მაისი. სლავიანსკის წყლებზე სეზონი გაიხსნა. წამლობის ნება ებრაელებსაც მიეცათ.

პიატიგორსკი, 15 მაისი. ესენტუკში სეზონი დღეს გაიხსნა. ავადმყოფნი იკრიბებიან. მაისის დამდეგიდან თბილი ამინდებია. დღეს ესენტუკში გაიხსნა [illegible] „წითელი ჯვრის“ ადგილობრივი განყოფილებისა. უკვე იღებენ ავადმყოფთ და დაჭრილთ.

კრემენჩუგი, 15 მაისი. კრიუკოვის რკინის გზის სახელოსნოში გაფიცვა დასრულდა.

შუია, 15 მაისი. ნოქრები თხოულობენ სამუშაო დღის შემოკლებას, უქმეებში შესვენებას და ყოველ წლივ ორის კვირით დასვენებას. უკანასკნელი მოთხოვნილება ქალაქის მოურავს არ მოეწონა.

კოვნო, 15 მაისი. სტაროობრიადცებმა გუბერნატორის თანდასწრებით პარაკლისი გადაიხადეს, სარწმუნოების თავისუფლების მონიჭებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით გადასცეს უქვეშევრდომილესი გრძნობანი ხელმწიფე იმპერატორისადმი. გამოირკვა, რომ ტილმანის ქარხანაში შემთხვევით გაჩნდა ცეცხლი. ზარალი გაცილებით მეტია, ვიდრე ჰფიქრობდნენ წინად.

დონის როსტოვი, 15 მაისი. საკომერციო სკოლის შენობა, რომელიც 300,000 მან. დაჯდა, აკურთხეს. [illegible] გაფიცვა დასრულდა, რადგან ზოგ ერთი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს, მექუდე შეგირდების გაფიცვა არ შეწყვეტილა. გაფიცულ მკერვალთა ერთმა ნაწილმა მუშაობა დაიწყო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

15 მაისი.

ბერლინი, 14 მაისი. „ბერლინერ-ლოკალ-ანცეიგერ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, გუშინ, დილის 11 საათზე, როჟესტვენსკის ესკადრა ნახეს სედელნი კუნძულებთან, ვუზუნის მახლობლად, შანჰაიდან დაახლოვებით 120 კილომეტრის მანძილზე. თუ ეს ცნობა გა-

მართლდა, როჟესტვენსკის მაშ ფორმოზასთვის აღმოსავლეთით შემოუვლია და ამჟამად იმყოფება კორეის სრუტეზე დაახლოვებით 600 კილომეტრის მანძილზე, სადაც, როგორც ჰფიქრობენ, ტოგო უცდის მას თავისი ფლოტით.

პეტერბურგი, 14 მაისი. სამხედრო მინისტრის ბრძანებაში სწერია, რადგანაც შორეულ-აღმოსავლეთში მიმავალი ჯარის-კაცნი გზაზე ხშირად უწესოებას ახდენენ, გზადაგზა და გაჩერების დროს განგრძეთ სწავლა მათი როგორც თოფისა, ისე სიტყვების მეცადინეობა, არ მისცეთ ნება, რომ მატარებელს მოშორდნენ და აუხსენით, რომ მატარებელი იგივე კაზარმა არისო.

ჩიფუ, 14 მაისი. ღამის 12 საათი. იაპონიის სალჩოს-მიერ მიღებული კერძო ცნობებით, ბალტიის ესკადრის მომეტებული ნაწილი, გუშინ საღამოს იაპონიის ესკადრას შეჰხვდა კორეის სრუტეში. დაიწყო ბრძოლა. ნავთსადგურში სდგას იაპონიის შვიდი პატარა გემი. ერთი დიდი გემია „მიომარუ“, რომელიც დატვირთულია საომარი მასალით და ზღვაში გასასვლელად იმზადება.

კობე, 14 მაისი. სედელნი კუნძულებთან ბალტიის ესკადრის მოსვლის ამბავი ადგილობრივ მცხოვრებთა შორის უცბად გავრცელდა.

ტოკიო, 14 მაისი. (რეიტერი). როჟესტვენსკის ესკადრამ 8 მაისს ფორმოზას მახლობლად ამერიკის ერთი უცნობი გემი ჩასძირა. მეზღვაურნი გადაარჩინეს. იუწყებიან, 12 მაისს რუსის ოთხმა სამხედრო გემმა კურილის სრუტე გაიარეს და დასავლეთისკენ გაემართნენო. მათი სახელები არ იციან, ჰფიქრობენ, ეს როჟესტვენსკის ესკადრის ოთხი მსუბუქი კრეისერი უნდა იყვეს. სუსისკის ყურეში მომხდარ ამბების შესახებ ნება გვაქვს გამცნოთ მხოლოდ ერთი, სახელდობრ ის, რომ როჟესტვენსკის ესკადრის უმთავრესი ნაწილი, რომელიც ორ კოლონად მოდის: ჯავშნიანი გემები—მარჯვენა და კანონერკები და კრეისრები—მარცხენა, ყურეში გამოჩნდნენ. დანარჩენ ცნობებს იჭერენ და არა გზავნიან.

ვაშინგტონი, 14 მაისი. (რეიტერი). აქ მოვიდა ცნობა, თუმცა ჩინეთი პროტესტს აცხადებს, რუსის თექვსმეტი გემი მაინც ვუზუნში სდგასო.

პეტერბურგი, 14 მაისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 14 მაისის თარიღით: „ჯარებში ცვლილება არაფერია. 12 მაისს იაპონიის ცხენოსანმა რაზმმა იერიში მიიტანა სიმიაოჩენსა და სანკუნქუანზე. სიმიაოჩენს ზარბაზნები დაუშინეს. ჩვენმა სადარაჯო რაზმებმა უკან დაიხიეს. სინკუნქუანთან მტერს თოფის სროლით შეხვდნენ და სამხრეთისაკენ დაახევინეს. მიღებულ დამატებითი ცნობებით, გენერალ მიშჩენკოს თარეშის დროს ხელში ჩავიგდეთ ფულის ყუთი, რომელშიაც 3.700 იაპონური იენი იყო.

პარიზი, 15 მაისი. მართლდება ის ცნობა, ვითომ ბალტიის ესკადრა კორეის სრუტეში შესულიყვეს. ჯერჯერობით მისულან მხოლოდ მზვერავი გემები. დანარჩენი ესკადრით როჟესტვენსკის შეუძლიან მოსვლა მხოლოდ 16 მაისს. ადმირალი როჟესტვენსკი კორეის სრუტეში, ცზუზიმის სიახლოვეს იმყოფება. ომი ალბად იქ მოხდება. პრესსის წარმომადგენლებს იქ არ უშვებენ. ვუზუნში რუსის კრეისერების მოსვლამ იაპონია ძალიან აალელვა. ეშინიანთ, ვაი თუ ინკოუსა და ჩემულპოში მიმავალი სურსათი და საომარი მასალა ხელში ჩაიგდონო.

ლონდონი, 14 მაისი. იაპონიის სარწმუნო წყაროები გვაუწყებენ, რომ კუნძულ ცუშისის მახლობლად მოსალოდნელია იაპონელები როჟესტვენსკის დაუხვდნენ, ამაღამ ნაღმიან გემებით მიიტანენ იერიშს, ხვალ ბრძოლა იქმნებაო.

ტოკიო, 14 მაისი. (ლონდონით). როჟესტვენსკის ესკადრა ცზუსიმას კუნძულს მიადგა.

სოფია, 14 მაისი. ის ხმები ვითომც ბულგარიას რუსეთის ხარჯით შეეძინოს საომარი გემები, არა მართლდება.

საიგონი, 14 მაისი. მიღებული ცნობებით, როჟესტვენსკის ფორმოზასთვის აღმოსავლეთით მოუვლია, 11 მაისს შანჰაის სიმაღლეებს დაჰპირდაპირებია და იქიდან კორეის სრუტისკენ გამგზავრებულა.

ტოკიო, 15 მაისი. აქ მოვიდა ცნობა, რომ იაპონელებს კუნძულ ცზუსიმასთან რუსის ესკადრა აღმოუჩენიათ. მეორე დღეს ამ მხარეზე ზარბაზნების ხმა ისმოდაო.

გუნჯულინი, 15 მაისი (საკუთ. კორესპონ.). გენერალ მიშჩენკოს რაზმს უკანასკნელ თარეშის დროს შემდეგი ზარალი მოუვიდა: სამი აფიცერი მოკლულია და ცხრა დაჭრილი, ჯარის კაცი 34 მოკლულია და 120 დაჭრილი.

პარიზი, 15 მაისი. იტალიის საზღვაო სამინისტრომ ჩიფუდან მიიღო დეპეშა, როგორც ამბობენ, კორეის სრუტეში ბრძოლის დროს ორივე მხარე საშინლად დაზარალდნენო. უვნებლად არც ერთი გემი არ გადარჩენილაო.

ლონდონი, 14 მაისი. (რეიტერი). ტოკიოდან მოსულ ცნობებით, ზღვაში მომხდარ ამბების შესახებ ცნობების გამომჟღავნებას ჯერ კიდევ ნებას არ აძლევენ.

ცინტაუ, 15 მაისი. (რეიტერი). ჩინური დეპეშები იუწყებიან, კორეის სრუტეში ოშიმას სიახლოვეს დიდი ბრძოლააო.

ჩიფუ, 15 მაისი. (რეიტერი). იაპონიის კონსულის-მიერ მიღებულ ცნობებით, კორეის სრუტეში ან კიდევ მის ახლოს საზღვაო ბრძოლაა. გუშინ, შუადღის შემდეგ, შეამჩნიეს ბალტიის ფლოტის მრავალი გემი, რომლებიც ცზუშიმასა და იაპონიის ნაპირებ შუა კორეის სრუტეში მიდიოდნენ.

ტოკიო, 15 მაისი. (რეიტერი) მთელის დღის განმავლობაში ოფიციალური წრეები არას იუწყებიან ზღვაზე ომის შესახებ. საგაზეთო დეპეშებს ტელეგრაფი არ იღებს. მთავრობამ გადასწყვიტა, ხელი შეუშალოს პეტერბურგამდი იმ ცნობების მიხწევას, რასაც იქ სასარგებლოდ გამოიყენებენ.

ჩიფუ. 15 მაისი. (რეიტ.) სარწმუნო წყაროები გვარწმუნებენ, რომ ტოგო მოზანპოს ყურეში და საფრანგეთშიაო. როჟესტვენსკიმ საკმაო გემები გაჰგზავნა შანჰაის წყლებზე, რომ მოაჩვენოს ვითომც უმთავრესი მისი ძალა აქ არის. ნამდვილად კი ესკადრის მეტი ნაწილი კორეის სრუტეს გასცდა.

ტოკიო, 15 მაისი. სამი ღამეა, რაც გემებზე აღარ ანთებენ.

პეკინი, 15 მაისი. ამერიკულმა გემმა „მანტური“-ამ იაპონიაში ბევრი ლაფეტები (ზარბაზნის მოწყობილება) და ორი წყალქვეშ მავალი დაშლილი გემი მოიტანა, რაც იოკაგამაში გადმოტვირთეს 4 ღამის განმავლობაში გაუსინათებლად. ამას წინად იაპონიას ამერიკიდან მოუვიდა ექვსი ჰაერ-ოსტატი, ამათაგან ორი დიდი იყო. ამერიკიდან იაპონიაში მიმავალ გემებს კუნძულ პიდვოისთან აჩერებენ, რომ დეპეშით აცნობონ ხოლმე ტოკიოში.

პეკინი, 15 მაისი. ვენიდან მოსული ცნობები გვარწმუნებენ, რომ იაპონელებმა ქუსანის კუნძულებთან ნაღმები ჩააწყყეს, რამაც ორი ჯონკი ააფეთქა. ჩინელებს სამს ალაგას უნახავთ საეჭვო გემები. მაშველი კრეისერი „კოკომარუ“ კლდეს დაეჯახა და ფუზანის მახლობლად გამოირიყა.

მოღზანსკი, 14 მაისი. შორეულ აღმოსავლეთში მიმავალმა ვიცე-ადმირალმა ბირილიოვმა აქეთ გაიარა.

სტავროპოლი, 14 მაისი. გუბერნატორმა მთავარსარდლისგან მიიღო დეპეშა. მთავარსარდალი სთხოვს გუბერნატორს, სტავროპოლის წითელის ჯვრის კომიტეტს მადლობა გადაეცი თავის მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვისაო. ლინევიჩის სტავროპოლის საავადმყოფო, ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულის მინდობილობით, სადგურ ხოდზიატუნზე დაუთვალიერებია და დარწმუნებულა, რომ სტავროპოლის კომიტეტი ნაყოფიერად მუშაობს.

ბელოსტოკი, 14 მაისი. დღეს აკურთხეს სამხედრო საავადმყოფო.

შანჰაი, 14 მაისი (რეიტერი). დილით კუნძულ ცუსიმასთან შენიშნეს რუსის ხუთი ჯავშნიანი გემი, კრეისერი და შვიდი კონტრ-ნაღმოსანი.

გოძიადანი, 14 მაისი. მიშჩენკოს თავდასხმამ ტოკიოში უსაფუძვლო ხმები გამოიწვია, რაც ნათლად ამტკიცებს, რომ იაპონურ ოფიციალურ მოხსენებათ აზრად აქვთ უცხოელთა პრესსის მოტყუება. იაპონიის ოფიციალურ ცნობებით, მიშჩენკოს კავალერიამ იოანსინზე იერიში მიიტანა და ერთის საათის ბრძოლის შემდეგ რუსებმა სამხრეთ-დასავლეთით დაიხიეს; ბრძოლის ველზე 300 დაჭრილი და მოკლული დასტოვეს. ლინევიჩის შტაბის ცნობით, 1 მაისიდან ათამდე მიშჩენკოს რაზმმა დაჰკარგა ერთი ჯარის კაცი, რომელიც უკვალოდ დაიკარგა, 37 მოკლული და დაჭრილი თან წამოიღეს. მოხსენებული არ არის, თუ იაპონელებს რა ზარალი მოუვიდათ. იაპონელებმა 7 მაისს მარტო ერთ ადგილას 100 მოკლული დასტოვეს, გაქცევის დროს კი—42. იაპონიის ქვეითა პოლკიდან, რომელიც თხრილებიდან იქმნა გამოდევნილი, ორი როტა კაზაკების-მიერ ერთიანად ამოჟლეტილ იქმნა, ერთი როტა თავის აფიცრებით ტყვედ იქმნა წაყვანილი. მიშჩენკოს ანგარიშით, იაპონელებს, სულ ცოტა, 300 კაცი მოუკვდათ, თუ არ ჩავთვლით მოკლულ ხუნხუზებს.

ტოკიო, 15 მაისი. (რეიტერი). მცხოვრებნი მოუსვენრად ელიან ზღვაზე ბრძოლის ამბებს. ჰფიქრობენ, რომ როჟესტვენსკის უმთავრესი საომარი გემები სედელის კუნძულებთან არის, საიდანაც ცუმისისკენ გასწევს და, თუ შეხვდა სადმე ტოგოს, შეებრძოლებაო. საოცრად მიაჩნიათ, როგორ მოახერხა როჟესტვენსკიმ ფორმოზის არხში მისვლაო, ჰფიქრობდნენ ფორმოზას აღმოსავლეთით მოუვლისო. ხმა დადის, რომ ორნაწილად გაყოფილი ესკადრა დღეს კორეის სრუტეში გაემართა. საზღვაო დეპარტამენტი არც უარსჰყოფს და არც ამოწმებს გავრცელებულ ხმებს, ხოლო ჰპირდება—თავის დროზე ყველაფერს გამოვამჟღავნებთო. მცხოვრებნი ენდობიან ტოგოს და მომავალ ბრძოლის ამბავს აღტაცებით ეგებებიან. ჰფიქრობენ, რომ რუსეთის ესკადრის ერთი ნაწილი ვლადივოსტოკამდე მიაღწევს, თუმცა ტოგო დიდ ვნებას მისცემს გემებსაო.

(ღამის დეპეშა იხილე მე-4 გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდგან

საზღვაო ბრძოლა. ადმირალი ტოგო და ადმირალი როჟესტვენსკი ერთმანეთს დაეტაკნენ. ასეთ დიდი ხნის მოლოდინს ბოლო მოეღო. ადმირალმა როჟესტვენსკიმ მომზადების შემდეგ ფორმოზის სრუტე გაიარა (სხვა ცნობებით კი ფორმოზას აღმოსავლეთიდან მოუარა) და პირდაპირ კორეის სრუტესკენ წავიდა. ადმირალი ტოგოც იქ უცდიდა. კორეიასა და იაპონიას კორეის სრუტე ჰყოფს. სრუტეს შუაში მდებარეობს კუნძული ცუსიმა, რომელიც კორეის სრუტესაც ორ სრუტედ ჰყოფს: ერთი კორეიასა და ცუსიმას შუა, მეორე—ცუსიმასა და იაპონიას შუა. ადმირალი როჟესტვენსკი მეორე გზით წასულა და გვერდი აუხვევია იმ სრუტესთვის, სადაც შარშან, 1 აგვისტოს, ადმირალმა კამიმურამ ვლადივოსტოკის ესკადრა დაამარცხა და კრეისერი „რიურიკ“-ი დაღუპა. სრუტეში როჟესტვენსკის ტოგო დახვედრია და შებმია. საბრძოლველად ამაზე კარგ ადგილს ადმირალი ტოგო ვერ აირჩევდა. ბრძოლის ველიდან იაპონიის ნაპირებამდე—ნავთსადგურებამდე ერთი თუ ორი საათის სავალი გზაა და ტოგოს მხრით როჟესტვენსკიზე დიდი უპირატესობა აქვს. თუ ტოგო დამარცხდა, ადვილად მიიყვანს დაზიანებულ გემებს საკუთარ ნავთსადგურში, როჟესტვენსკიმ კი ან ვლადივოსტოკში უნდა წაიყვანოს (თუ, რასაკვირველია, ტოგომ ბრძოლის ველი დაუთმო და მისცა), ან ჩინეთის ნავთსადგურები მონახოს და იქ იარაღი აჰყაროს. როჟესტვენსკის სიშორისა გამო ერთიცა და მეორეც მეტად გაუძნელდება.

რით გათავდება ეს ბრძოლა—ძნელი სათქმელია. ის კია, რომ ორივე მხარე ძლიერ დაზარალდება. გამოცდილებამ უკვე გვაჩვენა, რომ ზღვაზე ერთის ბრძოლით მოპირდაპირეს სრული დამარცხება-განადგურება თითქმის შეუძლებელია. დამარცხებული ადმირალი დაზიანებულ გემებს ნავთსადგურში შეიყვანს, შეაკეთებს და ხელმეორედ შეებრძოლება მოპირდაპირეს. აი, ამ მხრივ ტოგო გაცილებით კარგ პირობებშია როჟესტვენსკიზე: ორმოცამდე დოკი აქვს და ერთიოდე თვეში მთელ დაზიანებულ ფლოტს ხელმეორედ აღადგენს, როჟესტვენსკის კი ორიოდე პატარა დოკი აქვს და, თუ ვინიცობაა ესკადრის უმეტესი ნაწილი დაზიანდა, შეკეთებას რამდენიმე თვეს და, შეიძლება, ერთ წელიწადსაც მოუნდეს.

ასეა თუ ისე, დაწყებულ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და იმის შედეგზეა დამოკიდებული ომის ვითარება: თუ როჟესტვენსკი დამარცხდა, ზავიც ახლო იქნება, თუ გაიმარჯვა, ომი სწორედ ეხლა დაიწყობა და, შეიძლება, ორი-სამი წელიწადიც გასწიოს (რ.).

ვისი ბრალია? მატენის კორესპონდენტმა დაწვრილებით გამოიკვლია პორტ-არტურის აღების მიზეზები და თვითონ რუსებისგანაც ბევრი რამ გაიგო ამის შესახებ. პორტ-არტურში მყოფ რუს აფიცრებისა და მეზღვაურების ნალაპარაკევიდან კორესპონდენტმა შემდეგი გაიგო: სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ გენერლები სტესელი, სმირნოვი, ბელი, ფოკი, ნიკიტინი, ნადეინი და გორბატოვსკი; ადმირალები უხტომსკი, ვირენი, ლოშჩინსკი და გრიგოროვიჩი. უხტომსკის დიდი ბრალი ედება: 28 ივლისს მოკლულ ვიტგეფტის მაგივრად უფროსობა უხტომსკიმ ჩაიბარა და, თუმცა ბრძანები ჰქონდა, პორტ-არტურში აღარ დაბრუნდეთ და ვლადივოსტოკში წადითო, მაგრამ უხტომსკიმ მაინც გასცა ბრძანება, პორტ-არტურში დაბრუნდითო. ამ ბრძანების გამო რუსეთის გემები აირივნენ და დამარცხდნენ კიდევაც: ზოგი უკან დაბრუნდა, ზოგი შანჰაის წავიდა, ზოგი ცინტაოს, ზოგი საიგონსა და ზოგიც ვლადივოსტოკისკენ. ამის გამო ფლოტის უფროსობა უხტომსკის ჩამოართვეს და ვირენს მისცეს, მაგრამ ვირენიც ცუდი ადმირალი გამოდგა: ვერც გემები შეაკეთა და ზღვაში ერთხელაც არ გასულა. ვირენი თავის მხრით სტესელს ამტყუნებს, გემებიდან ზარბაზნები გამომტაცა და ცალიერზე დამტოვაო. ყველაზე მეტად სტესელს ამტყუნებენ. სტესელი მხოლოდ კვანტუნის ნახევარ კუნძულის უფროსი იყო და 3 პოლკი ჯარი ებარა. ის კი, ცინჯოუსთან დამარცხების შემდეგ, პორტ-არტურში დაბრუნდა, თანდათან მიითვისა ციხის უფროსის უფლებანი, არა-მკითხე კომენდანტი გახდა და ციხეც ისე ჩააბარა იაპონელებს, რომ არავისთვის უკითხავს. კანონით კი არ შეიძლება იმ დრომდის, სანამ ერთი აფიცერი წინააღმდეგია.

ადმირალ გრიგოროვიჩის ადიუტანტს სხვა აფიცრებთან კორესპონდენტისთვის შემდეგი საინტერესო ამბავი უთხრობია: როცა ბრძანება მოგვივიდა, გემები ააფეთქეთ, ციხე იაპონელებს უნდა ჩავაბაროთო, ყველას გაგვიკვირდა: ციხის ჩაბარებაზე კრინტიც არავის დაუძრავს, სტესელს არავისთვის უკითხავს და ნება არა ჰქონდა სხვების დაუკითხავად ასე მოქცეულიყო. მე ერთგული ამხანაგები შევკრიბე და მოველაპარაკე, და ბოლოს ჩვენ სტესსელის დაპატიმრება გადავწყვიტეთ. ამის ნებართვა გენ. სმირნოვს ვთხოვეთ, მაგრამ სმირნოვმა დაგვიშალა, ვაი თუ სალდათები აჯანყდნენო. ყველაფერი სტესსელის ბრალია: ძალმომრეობით უფროსობა სმირნოვს წაართვა და თვითონ დაისაკუთრა. სმირნოვმა კი ამისთვის პასუხი უნდა აგოს (რ. ვ).

გენ. კაულბარსი. ამბობენ, მანჯურიის მეორე არმიის უფროსი გენ. კაულბარსი თავის თანამდებობას თავს ანებებს და პეტერბურგში მოდისო (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

ნახიჩევანი. კვირას აქ ჩამოვიდა შეიხულისლამი და იმავე დღეს ახლო-მახლო სოფლებს ჩამოუარა ყაზიების, სომეხ არქიმანდრიტისა და ნახიჩევანელ ხანის თანხლებით. ორ-სამ სოფელში მაჰმადიანები შეეფიცნენ, მშვიდობიანობას არ დავარღვევთო. ნახიჩევანისა და შარურო-დარალაგეზის მაზრებში ყველგან საშინელი ამბები ხდება, რამდენიმე ასი ქურთი სპარსეთის საზღვარზე გადმოსულა და სომხის სოფლებს შემოსევას უპირებს. ნახიჩევანი გაივსო სოფლებიდან ლტოლვილ სომხებით.

ფელეტონი

დაღესტნის ავ-კარგი

ძლიერ ძნელი წარმოსადგენია, რომ სახელმწიფომ გამოიგონოს ხალხის იმაზე უვარგისი მართვა-გამგეობა, როგორიც არის „Военно-народное Управленіе“.

ამ სახელწოდებაში სიტყვა „народное“ სრული თვალთ-მაქცობაა, ვინაიდან ხალხს ისეთი წილი უძევს ამგვარ მართვა-გამგეობაში, როგორიც მე და შენ, მკითხველო. ასეთ შეუსაბამო სახელს უწოდებენ იმიტომ, რომ ვითომ სამსჯავრო ნაწილს ხალხი განაგებს მაგრამ მხოლოდ ვითომ, რადგან საქმით სამსჯავრო ნაწილიც თითქმის სავსებით ადმინისტრაციის ხელშია.

ასეთი მართვა-გამგეობა შეიმუშავა 1852 წელს კავკასიაში კარგად ცნობილმა თავადმა ბარიატინსკიმ კავკასიის მთებში მცხოვრებ მთიულთათვის. მთიულთა შორის „საჭირო იყო დამყარებულიყო ენერგიული და მარტივად მომქმედი მართებლობა“-ო, ამბობს თანამედროვე ცირკულიარი უმაღლეს კავკასიის მთავრობისა, „რომელიც უფრო გასაგები იქნებოდა მთიულთა განუვითარებელ გონებისათვის. ამიტომ ხალხის მოვლა-პატრონობა ჩაბარდა სამხედრო უწყებას, რომელიც კარგად იცნობდა მთიულთა ზნე-ჩვეულებასა (?) და მოთხოვნილებას. ამ უწყების ხელშივე იყო ძალა, რომლის საშუალებით მას ჰქონდა შეძლება მოეწყო საჭირო მართვა-გამგეობა. აგრეთვე სამსჯავრო ნაწილი მოეწყო ისეთ ნაირად, რომ სამართალი დაედგინა თვით ხალხისაგან ამორჩეულთ, თანახმად მათი შეხედულებისა (возрѣнія), მხოლოდ ეს უკანასკნელი თანდათან უნდა შეფერებულიყო უფრო განვითარებულ ერების შეხედულებასთან. ამ ბოლო მიზნის მისაღწევად სამსჯავრო მოქმედებაში უნდა მიეღო მონაწილეობა მთავრობის წარმომადგენელსაც“. რა ნაყოფი გამოიღო პირველშივე ასეთმა მართველობამ, მკითხველს კარგად მოეხსენება: მთები თითქმის სრულიად დაიცალა მკვიდრთაგან. მთიულებმა არჩიეს სამშობლოს სრულიად მიტოვება და ოსმალეთში გადასახლება, ოღონდ კი თავი დაეღწიათ მათი კეთილდღეობასათვის განგებ შეთხზულ მართვა-გამგეობისათვის.

ასეთი მართველობა შემოღებულ იქმნა დაღესტანში შამილის შეპყრობის შემდეგ, 1860 წელს. მხარე გაყოფილ იქმნა ოთხ სამხედრო ნაწილად, რომლის სათავეში იდგნენ რუსის ჯარის გენერლები. ნაწილები იქმნა დაყოფილი ოლქებად და სახანოებად. ოლქის სათავეში იყო დაყენებული რუსის ჯარის შტაბ-აფიცერი და სახანოებისაში—ხანი, რომელიც სამხედრო სამსახურში ითვლებოდა სახანოები დაყოფილ იქმნა 43 სანაიბოდ. რომლის სათავეში მართებლობის-მიერ ინიშნებოდა ნაიბი, და ამას ჰქონდა ჩაბარებული უახლოესი ყურის გდება ხალხის ყოფა-ცხოვრებისა. ამასთანავე თითქმის ყოველ ნაბიჯზე ამართულ იქმნა ციხე-სიმაგრე, საიდანაც ხალხზე მიშვერილი იყო თოფ-ზარბაზანი და ვაი მისი ბრალი, ვინც უკმაყოფილობას გამოაცხადებდა!

ამ მოკლედ დახასიათებულ მართვა-გამგეობის შემოღების შემდეგ, გავიდა თითქმის ნახევარი საუკუნე, მაგრამ მასში არსებითი ცვლილება არა მომხდარა-რა ერთის მეტი, რომელიც გამოიწვია გლეხების განთავისუფლებამ. 1867 წ. მოეწყო სოფლის საზოგადოებათა თვითმართველობა, მხოლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ მამასახლისი და მათი თანაშემწენი სოფლის საზოგადოების მიერ კი არ ირჩევა, როგორც ეს არის მიღებული ამიერ-კავკასიაში, არამედ ადმინისტრაციისაგან ინიშნება. სოფლის საზოგადოება ირჩევს სოფლის მოსამართლეებს და ყადს, რომელსაც ადმინისტრაცია, რასაკვირველია, არ დაამტკიცებს, თუ მას ამორჩეულნი არ მოეწონა. ყადის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს ღვთისმსახურება და მასთან შეკავშირებულ მოვალეობათა აღსრულება, როგორიცაა, მაგალ., მოლებზე ზედამხედველობა, ჯამების და მათ მამულების მოვლა-პატრონობა, ჯამების სკოლების ყურის-გდება და დაბადებულთა, გადაცვლილთა და დაქორწინებულთა სიების წარმოება. ამ მოვალეობათა გარდა, ყადი ასრულებს სოფლის მწერლის თანამდებობას და იღებს მონაწილეობას სოფლის სასამართლოს სხდომებში. ყადი ექვემდებარება ადმინისტრაციას და ამნაირად სასულიერო ნაწილიც ამ უკანასკნელის ხელშია.

ამავე დროს ეკუთვნის განკარგულება, რომლის ძალით უკანასკნელი ხანები სრულიად გადაყენებულ იქმნენ და მათ მაგიერ დაინიშნენ ოლქის უფროსები, მაგრამ ამ რეფორმას მართვა-გამგეობის საქმეში არავითარი ცვლილება არ შეუტანია, ვინაიდან ფაქტიურად ამ დრომდისაც სახანოებში ისეთი მართვა-გამგეობა იყო, როგორიც ოლქებში.

აგრეთვე არავითარი ცვლილება არ მოუხდენია ხალხის ცხოვრებაში 1883 წლის რეფორმას, რომლითაც მოისპო სამხედრო უფროსთა (ვოენნი ნაჩალნიკ) თანამდებობა. ამ დროიდან დაღესტანში ცხრა ოლქი ითვლება, რომელთა უფროსნი ექვემდებარებიან პირდაპირ დაღესტნის მხარის უფროსს, რომელსაც სამხედრო გუბერნატორის უფლებანი აქვს მინიჭებული. ჯარი ძველებურად გაბნეულია დაღესტნის ყოველ კუთხეში და, თუმცა პირდაპირ სამხედრო გუბერნატორს არ ემორჩილება, მაგრამ ამ უკანასკნელს უფლება აქვს, თუ საჭიროდ დაინახავს, დახმარება მოსთხოვოს.

უკანასკნელი ადმინისტრატიული რეფორმა მოხდა 1900 წელში. კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ, სცნო რომ „ნაიბი, რომელსაც მომზადება და განვითარება არ მიუღია, სრულიად არ შეეფერება თავის დანიშნულებას“, რის გამო შესცვალა ის ნაწილის უფროსებით (უჩასტკოვი ნაჩალნიკ), რომელნიც განსაკუთრებით სათადარიგო აფიცერთაგან ინიშნებიან. როგორც ცირკულიარიდან სჩანს, კავკასიის უმაღლესი მთავრობა ამ რეფორმას დიდ მნიშვნელობას აძლევს და იმედი აქვს, რომ კარგ ნაყოფსაც გამოიღებს, მაგრამ, ჩვენის აზრით, მცხოვრებნი „ვაის გაეყარნენ, უის შეეყარნენ“. ნაიბის უვარგისობის უმთავრეს მიზეზად ცირკულიარი ასახელებს მათ მოუმზადებლობას ხალხის მართვა-გამგეობის საქმეში, რაც სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ ჩვეულებრივ რუსის ჯარის აფიცრებსაც ამავე საქმისათვის არავითარი მომზადება არა აქვს. მართლაც, სად „როტის“ მართვა და სად ხალხის ცხოვრების მოწესრიგება და მისი ჭირვარმის გაგება და წამლის გამოძებნა!

ასეთ არა-ნორმალურ მდგომარეობას ის შედეგი მოსდევს, რომ ნაწილის უფროსს მისდამი ჩაბარებული ქვეყანა ხშირად კაზარმათ ეჩვენება და მცხოვრებნი ჯარის კაცებად. თუ მის მობძანებისთანავე ხალხმა „სტოი სმირნო, რავნიაისა“ ვერ მოახერხა, „ბუნტი“ არისო, სწერს უფროსს და თხოულობს ჯარებს ამ „ბუნტის“ მოსასპობად...

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ აფიცერთაგან ადმინისტრაციის სამსახურში უმეტეს ნაწილად მიდიან ისეთნი, რომელთათვის ჯარებში დარჩენა სხვადასხვა მიზეზთა გამო შეუძლებელი ხდება, როგორიცაა, მაგალითად, მაგარი სასმელებისადმი ძლიერი მიდრეკილება, ჯარის კაცების ცემა-ტყეპა, რაც კანონით აკრძალულია, ანუ არა ამხანაგური მაღი ყოფა-ქცევა და სხვანი. ზემო-ნათქვამიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ უკანასკნელ რეფორმას თუ არ გაუუარესებია ხალხის ყოფა-ცხოვრება, არაფრით არ გაუუმჯობესებია იგი.

შეიძლება აღვნიშნოთ კიდევ შემდეგი ცვლილებანი. საექიმო ნაწილი გადაეცა სამოქალაქო უწყებას, მაგრამ, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, თავის დანაშაულებას მაინც სრულიად ვერ ასრულებს. აგრეთვე ქალაქები თ.-ხ.-შურა, პეტროვსკი და დარუბანდი სამოქალაქო უწყების ხელში გადავიდა და მათში შემოღებულ იქმნა შემოკლებული თვითმართველობა.

ასეთი იყო დაღესტნის მართვა-გამგეობის ევოლუცია ნახევარ საუკუნის განმავლობაში. სამსჯავრო ნაწილი დარჩა იმ უვარგის მდგომარეობაში, რომელშიაც თავიდანვე იქმნა ჩაყენებული, ამ უკანასკნელ მხარეს კი არსებითი მნიშვნელობა აქვს ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, რის გამო ვეცდები მის არსებითი ნიშნები მკითხველებს გავაცნო.

დაღესტნის მკვიდრთათვის დაარსებულია განსაკუთრებული სასამართლოები, სადაც სამართალი სწყდება თანახმად ადგილობრივ კანონებისა და ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით. პირველ შეხედვით ეს გარემოება თითქო სასურველ ნიადაგზე აყენებს სამსჯავრო ნაწილს, მაგრამ მხოლოდ პირველ შეხედვით. დავუკვირდეთ მის ორგანიზაციას უფრო ახლოს. პირველად უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საქმე მაშინ ირჩევა ადგილობრივ სასამართლოში, როდესაც მომჩივანი და მოპასუხე, ორთავე მკვიდრთაგანი არიან და ტერიტორია, სადაც დავა ასტყდა მათ შორის, იმართება სამხედრო-სახალხო დებულების ძალით. თუ ეს პირობანი დაცულნი არ არიან, მაშინ საქმე ირჩევა ჩვეულებრივ საერთო იმპერიის სასამართლოებში. მაგლითად, რუსს და დაღესტნელს მოუვიდათ ჩხუბი ერმანეთში. ტერიტორიას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ეძლევა და საქმე უნდა გაირჩეს თანახმად საერთო იმპერიის კანონებისა. მეორე მაგალითი: თუ ორ დაღესტნელს ერთმანეთთან მოუვიდათ უკმაყოფილება ქალაქ შურის საზღვრებში, საქმე მომრიგებელ მოსამართლესთან ირჩევა იმპერიის კანონების ძალით და, თუ ქალაქ გარეთ, მაშინ მსჯავრს ადგილობრივი „საოლქო სასამართლო“ ადგენს.

ასეთი გასაზღვრა სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. აქსიომად აღიარებულია, რომ იურიდიული ნორმები ხალხის კულტურულ განვითარებას და ცხოვრების პირობებს უნდა შეეფერებოდეს. თუ კი მართებლობა სთვლის საჭიროდ დაღესტნელთა გასამართლებისათვის იქნეს მიღებული განსაკუთრებული კანონები, განა შეიძლება, რომ ან ტერიტორიას ან პირს, რომლის წინაშე დაღესტნელს ბრალი ედება, ჰქონდეს მნიშვნელობა იმ კითხვის გადაწყვეტაში, რომელი კანონებით უნდა განისაზღვროს ჩადენილი დანაშაულობა? გავიხსენოთ საზღვარ-გარეთლების ექსტერიტორიული უფლება, რომლის მიხვედვით მას ასამართლებენ იმ სახელმწიფოს კანონების ძალით, რომლის ქვეშევრდომად ითვლება, და არა იმის მიხედვით, სად ანუ ვის წინააღმდეგ ედება ბრალი.

თუ დაღესტნელს ბრალდება პოლიტიკური აგიტაცია მცხოვრებთა შორის, ცარცვა ანუ გამოჩენილი ყაჩაღობა, ურჩობა მართებლობის მოხელეთა წინაშე, რომელთა რიცხვს სოფლის მამასახლისიც ეკუთვნის, ანუ მათი მძიმე შეურაცხყოფა, სახაზინო კუთვნილების მოტაცება და აგრეთვე მძიმე დანაშაულებანი საიმპერიო სისხლის სამართლის წინააღმდეგ, მაშინ მას სამხედრო სასამართლოში აძლევენ.

ადგილობრივ კანონების ძალით, რომელთაც ადათები ეწოდება, ირჩევა მხოლოდ შემდეგი საქმეები: 1. ყოველგვარი სამოქალაქო საქმეები, 2. ქურდობა, 3. ჩხუბი, 4. ქალის მოტაცება, თუნდ ამ დანაშაულობის ჩადენის დროს კაციც მოიკლას და 5) მტაცებლობა და ძარცვა-გლეჯა, როდესაც მომჩივანის ჯანმრთელობას არავითარი ვნება არ მოსვლია. ოჯახის წევრთა შორის დამოკიდებულება და მათი მემკვიდრეობითი უფლებანი განისაზღვრება შარიათით. შარიათის ძალითვე ირჩევა დანაშაული მაჰმადის სჯულის წინააღმდეგ.

მაგრამ არც ამ საქმეების გადაწყვეტაში აქვს ადგილობრივ კანონებს მინიჭებული სრული კომპეტენცია: თუ მთავრობის წარმომადგენლის აზრით დადგენილი სამართალი „სრულიად არ შეეფერება ცხოვრებას“, მას უფლება აქვს არ დაეთანხმოს გადაწყვეტილებას და წარუდგინოს უმაღლესს ადმინისტრაციის წარმომადგენელს გასარჩევად, რომლის გადაწყვეტილებას კანონის (?) ძალა ეძლევა და შემდეგში სასამართლო ამ

ერევანი. კვირას აქ ერთგან ხუთასამდე მაჰმადიანმა თავი მოიყარა, მაგრამ მალე გაჰფანტეს „სტრაჟნიკებმა". ქალაქსა და სოფლებში შიშიანობა ძლიერდება.

ქუთაისი. 15 მაისის კრებაზე თავად-აზნაურობამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა ბაქოში მოკლულ თავ. ნაკაშიძის ხსოვნას. ნათესავებს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნეს. დავით ნაკაშიძის წინადადებით, კრებამ დაადგინა, სთხოვონ ზუბალაშვილის მემკვიდრეებს, ქუთაისის გადაკეთებულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის საპატიო მზრუნველის სახელი მიიღონ. ნიკოლოზ თავდგირიძის წინადადებით, დაადგინეს, აღძრან შუამდგომლობა, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში აღდგენილ იქმნას წარმოების ნორმალური წესი და საზოგადოებას ნება მიეცეს თვისის თავმჯდომარის არჩევანებისა. რწმუნებულთა არჩევანები მორიგ კრებისათვის გადაიდო.

გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ციხიდან განთავისუფლებულ იქმნა 115 პოლიტიკური დამნაშავე.

ლეჩხუმში ხალხმა დააკავა ბოქაულის თანაშემწე ყიფიანი და ორი სტრაჟნიკი. სვანები ისევ უკმაყოფილებას აცხადებენ.

ახალი ამბავი

✦ გუშინ ქალაქის მოურავმა ქ. ა. ვერმიშევმა ნახიჩევნის ქალაქის მამასახლისისაგან **მიიღო შემდეგი დეპეშა**: შეიხ-ულ-ისლამის ჩამოსვლისათანავე, არქიმანდრიტის თანადასწრებით დავიარეთ ახლო მდებარე სოფლები. მცხოვრებნი

✦ ქალაქის მოურავმა გუშინ, 16 მაისს, შემდეგი **დეპეშა მიიღო ნახიჩევნელ არქიმანდრიტ** ტოვმასგან: თათრებმა ახლა დაუწყეს სროლა სომხის სოფლებს აკულისსა და სხვათ. უკაზაკებოდ ამ სროლის შეჩერება შეუძლებელია, გთხოვთ მოახსენოთ ეს ამბავი კავკასიის ნამესტნიკსაც.

✦ **ნახიჩევანიდან გვწერენ**: რაც აქ ერევნის ვიცე-გუბერნატორი და სტრელკოვი ბატალიონი მოვიდა, ქალაქში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. სამაგიეროდ, ამბობენ, სომხის სოფლებში, რომლებიც გაფანტულია კარაბაბილის ხეობაში, საშინელი ხოცვა-ჟლეტა არისო. 14 მაისს მაჰმადიანთა ბრბომ ერთ მონასტერში წმიდანის ნაშთი გაიტაცა, მაგრამ მეორე დღეს უკანვე წაართვეს. ნახიჩევანიდან 5 ვერსის მანძილზე არის მონასტერი მირვანკ, იქ თავი შეუფარებიათ სომხის ქალებს და ბავშვებს. თათრებს ამ მონასტრისთვის ალყა შემოურტყამთ და გაჟლეტას უპირებენ თურმე. მათ დასახსნელად ჯარის ერთი ნაწილი წავიდა.

✦ **გუშინ ნახიჩევანიდან ქალაქის მოურავმა შემდეგი დეპეშა მიიღო** მელიქიანცისაგან: ეს მეხუთე დღეა, თათრები უმოწყალოდ ჟლეტენ სომხებს, სძარცვავენ და სწვავენ მაღაზიებსა და სადგომ ბინებს. ამ ცეცხლის ალმა სოფელსაც უწია. სოფლის მამასახლისები ალიის ბაირაღებითა და დროშებით, ოსმალურ ფესკებით, მოედნენ სოფელს. ურიცხვი მსხვერპლია. დაჭრილთა გვამების აკრეფა ვერ მოუსწვრიათ. ძაღლების კერძად გადიქცნენ მოკლულები. ჟლეტა-ხოცვამ მონგოლიის ჟლეტა-ხოცვას გადააჭარბა ჩამოვიდა 450 ქვეითა ჯარის კაცი, რომელთაც ვერ ძალუძთ ჟლეტა-ხოცვის მოსპობა. სოფლად გაძარცვეს ურიცხვი ტაძრები და ეკლესიები. წმინდა ადგილები წაბილწულია. ამბოხება უფრო ძლიერდება. ვინც თავი დააღწია სოფლად, ქალაქს შეეფარა. შიშის ზარი გამეფებულია. შიმშილობა მოგველის. დაუყოვნებლივ უნდა მოგვეშველოთ.

✦ გუშინ, 16 მაისს, ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს საბჭოს დარბაზში და მოისმინეს ნახჩევანიდან დეპეშით მოსული სამწუხარო ამბები; **მოსამსახურეებმა სთხოვეს მოურავს, დაინიშნოს საგანგებო კრება**, რომლზედაც უნდა იქმნას განხილული ის ზომები, რომელიც მათ უნდა მიიღონ თავიანთ და თავინთის ძმების დასაცველად.

✦ კვირას, 15 მაისს, **კრება ჰქონდათ გაფიცულ ფარმაცევტებს**, მათ თანაშემწეთ და აფთიაქების მოწაფეთ, რიცხვით 93 კაცს. კრებამ დადგინა: არ დაიწყონ მუშაობა სანამდისინ ყველა გაფიცულები არ იქნებიან სამსახურში უკანვე მიღებული და სანამდისინ ყველა აფთიაქები არ დათანხმდებიან სამედიატრო სასამართლოზეო.

✦ ქალაქის მოურავს ტფილისელმა **აფთიაქარებმა შემდეგი მოხსენება წარუდგინეს**: რადგანაც გაფიცულ ფარმაცევტების მეტმა ნაწილმა დღემდის მუშაობა არ დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მათ ხელწერილობითი თანხმობა მივეცით სამედიატორო სასამართლოს შესახებ, გთხოვთ ხელწერილი გაუქმებულად ჩასთვალოთ და ფარმაცევტებთან ამის შემდეგ ჩვენ ვსპობთ ყოველგვარ მოლაპარაკებასაო.

✦ კავკასიის ნამესტნიკის სამხედრო თანაშემწემ **გენერალმა მალამამ ნება დართო** ტფილისის მაზრის სოფ. ნოვო-პავლოვკაში გადმოსახლებულ რუსებს ორმოცდა-ათი თუმანი მიეცეთ სესხად, სამლოცველოს ასაგებად.

დამშვიდნენ.

✦ „რუსკოე სლოვოს" ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: რადგანაც რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოებში ამ უკანასკნელ დროს სხვადასხვა ერების მუშათა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რკინის გზების უფროსის განკარგულებით **სახელოსნოებში ჩაყენებულ იქმნა ოცდაათი თოფით შეიარაღებული ლეკიო**

✦ **თამ მშევის ქარვასლის მოვაჭრეებმა** ამ ქარვასლის პატრონს გამოუცხადეს, ჩვენ გადავწყვიტეთ, დღეის შემდეგ **მაღაზიების ქირაში მხოლოდ 50% გაძლიოთო**. ზოგიერთა სახლის პატრონმა, მათ შორის ქალაქის გამგეობის წევრმა. თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა თავიანთ სახლების ქირის ფასს დაუკლეს 25% (კავ.).

✦ ქალაქის გამგეობამ პენსიად ქალაქის ლომბარდის გამგეს **ლისიციანს წელიწადში 440 მანათი** დაუნიშნა.

✦ ოთხშაბათს, 18 მაისს, ქალაქის იურისკონსულტთა და მოწვეულ პირთა თანადასწრებით **გამგეობა განიხილავს უსახელო საზოგადოების პრეტენზიას** იმ ჯარიმაზე, რომელიც ქალაქმა გადაუწყვიტა მოძრაობის შეწყვეტისა გამო.

✦ როგორც გვატყობინებენ, **ალავერდის საეპისკოპოსო კათედრას აუქმებენ** და მის ადგილას ხსნიან ახალ კათედრას ბაქო-გუმბრისას. ბაქო-გუმბრის ეპისკოპოსი ექვსი თვე ბაქოში იმსახურებს და ექვსი თვე გუმბრში.

✦ ტფილისელ მუსიკის მოღვაწეთ **შეუდგენიათ საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება**. ამ მიზნით ისინი ირჩევენ კომიტეტს ორი წევრისა, თავმჯდომარისა და ხაზინადრისაგან. ამ კომიტეტს ირჩევს საზოგადო კრება. აარსებენ აგრეთვე საამხანაგო სამართალს და შემნახველ-გამსესხებელ კასებს. საწევრო ფული 5 მანათია.

✦ შინაგან საქმეთა **სამინისტრომ დაამტკიცა წესდება** ტფილისის მუსიკალურ და დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა.

✦ ქალაქის გამგეობამ კონსტანტინოპოლიდან მიიღო 50 ათასი ცალი იქაურ ოთხკუთხის ქვისა და **შეუდგა ბარიათინსკის ქუჩის მოკირწყვლას**.

✦ **ქალაქის გამგეობამ დაადგინა**, კუკიის სამკურნალო, თანახმად ჩერქეზიშვილის მოხსენებისა, დაარსდეს სულხანიშვილისეულის სადგომში.

✦ დღეს, 17 მაისს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში ექიმები **მამინოვი და გოლოვკინი წაიკითხავენ მოხსენებას „მენინგიტის" შესახებ**.

✦ რედაქციამ მიიღო ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი და გამოცემული **შემდეგი ახალი წიგნები**: 1) „სახსოვრად მოგონება სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისა". წიგნი შეიცავს 88 გვერდს და ღირს 20 კაპ. 2) „საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად და გრიგოლ ხურსიძე და სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი ინდოეთში". შეიცავს 47 გვერდს და ღირს 15 კაპ. 3) „ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა". შეიცავს 128 გვერდს, ღირს 30 კაპ. 4) „ქართველ კათოლიკენი ყველა ასპარეზზე და ზოგი რამ წერილები დასავლეთ სარათველოზე", შეიცავს 83 გვერდს, ღირს 25 კაპ. 5) „ქართველ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები". შეიცავს 100 გვერდს, ღირს 25 კაპ.

✦ გუშინ, 16 მაისს, ქალთა და ვაჟთა მესამე გიმნაზიებში **დამთავრდა ეგზამენები**. სწავლადამთავრებულთა სიებს ამ გიმნაზიის დირექცია გამოაცხადებს ხვალ, 18 მაისს.

✦ როგორც ვწერდით, **ბაქოს ქალაქის მოურავმა ირეცკიმ** ქაღალდი შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. მიზეზი ამისა ის შეტაკება იყო, რომელიც მოხდა ირეცკისა და ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა შორის. მოსამსახურეებმა ბრალი დასდეს ირეცკის, ბაქოში მომხდარ ჟლეტა-ხოცვის დროს ისე ვერ მოიქეცი, როგორც უნდა მოქცეულიყავითო. საქმე ისე გამწვავდა, რომ ირეცკი ბოლოს სამსახურიდან უნდა გადამდგარიყო. ამ ნიადაგზე ქალაქის საბჭოში 10 მაისს ინციდენტი მოხდა: ჩხუბი მოუვიდათ მაჰმადიანებსა და გამგეობის მოსამსახურეებს და, სხვათა შორის, ძალიან სცემეს საბჭოს ექიმს ანდრონიკაშვილს, რომელიც ირეცკის ერთი უმთავრესი ბრალმდებელი იყო. „ნოვოე ობ-"-ს კორესპონდენტი ამ ინციდენტს ასე აგვიწერს: საბჭოში კრების დროს თავი მოიყარეს მაჰმადიანმა მუშებმა, „შავმა სოტნამ". კამათის დროს საბჭოს დარბაზის კარებში გამოჩნდა ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურე ექიმი ანდრონიკაშვილი, რომელიც ყველაზე მეტად სდებდა ბრალს ირეცკის. როდესაც ხმ. ჰაჯიევმა დაინახა ექიმი, სხვა ხმოსნებთან ერთად (რომელნიც ირეცკის იცავდნენ) მიჰვარდა ანდრონიკაშვილს და ყვირილი დაუწყო. შემდეგ, როგორც ამბობენ, ანიშნეს „შავ სოტნას", რომელიც მიჰვარდ ანდრონიკაშვილს და ძალზე სცემა. უცემიათ, გაზეთის სიტყვით, სხვებისთვისაც. ბოლოს თავმჯდომარეს კრება დაუხურავს. გაზეთი „კასპი"-კი იმავე ინციდენტს ასე აგვიწერს: „ამ დროს კარიდორში გაისმა ყვირილი და ხმაურობა. ყველა ხმოსნები და თავმჯდომარე იქ გაცვივდნენ. აღმოჩნდა, რომ გამგეობის ხმოსნები, ირეცკის მოწინააღმდეგენი, ხმა მაღლა ლანძღავდნენ იმ ხმოსნებს, რომელთაც ოქმს ხელი მოაწერეს (ეს ოქმი უნდა გაიგზავნოს ირეცკის დასაცველად „ს. ოტ."-ში, სადაც წერილი იყო დაბეჭდილი ირეცკის წინააღმდეგ. ოქმს ხელი მოაწერა ყველა ხმოსანმა მაჰმადიანმა და რუსმა, ბელიავსკის გარდა). დანარჩენმა საზოგადოებამ ამის გამო ჩხუბი აუტეხა გამგეობის მოსამსახურეებს; ამის შემდეგ ნაცემმა მოსამსახურეებმა თავს უშველეს და დარბაზში შეცვივდნენ. მოვიდა პოლიცია და კრებაც დაიხურა". ასე გათავდა ეს საქმე. მეორე დღეს გამგეობის მოსამსახურეებმა, როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, ქაღალდი გადასცეს მოურავის მოადგილეს საფარალიევს, დაგვიცავით ძალმომრეობისაგან, თორემ სამსახური არ შეგვიძლიანო. ექიმი ანდრონიკაშვილიც თავს ანებებს თურმე სამსახურს.

✦ როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, 15 მაისს, საღამოს 3 საათსა და 20 წუთზე, სადგურზე ვიღაც ბოროტმოქმედს ხანჯლით მოუკლავს მუსულმანი მოლლა ჰაჯი-მამედ-ეფენდი-ზადე, 80 წლისა. მოკლულის გვამი საქალაქო საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ როგორც ახალქალაქის მაზრიდან გვატყობინებენ, სოფ. მახმედში ვიღაც უცნობებს უსროლიათ მამასახლის ბაქრაძისათვის. ტყვია ბაქრაძეს ასცდენია და მოუკლავს ვიღაც თათარი.

ქუთაისის ცხოვრება

13 მაისს ქალაქის სასანიტარო კომისიას ჰქონდა სხდომა, რომელსაც, წევრთა გარდა, დაესწრო სამი ახალი ექიმი: ბ-ნნი ნათიძე, კოტიკი და ამაშუკელი. ეს ექიმები საგუბერნიო მმართველობას დროებით ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაში გადაუცია.

კრებას მოხსენდა ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს (воен. лазаретъ) უფროსის პასუხი. ის ატყობინებს ქალაქის გამგეობას: საავადმყოფოს კი აქვს ქიმიური ლაბორატორია, მაგრამ ლაბორანტი არა ჰყავს. თუ ლაბორანტს იშოვით, დიდის სიამოვნებით დავუთმობთ ლაბორატორიას საჭიროების დროს ხოლერის გამოსაკვლევად.

ექიმებმა კოტიკმა, ნათიძემ და ამაშუკელმა თანხმობა განუცხადეს იკისრონ ლაბორანტობა, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. კრებამ დაადგინა: ეცნობოს ექიმების თანხმობა საავადმყოფოს უფროსს.

აღინიშნულ იქმნა, რომ ქალაქის სასანიტარო მზრუნველნი ძლიერ ცოტას ჰფიქრობენ ქალაქში სიწმინდე-სისუფთავის დაცვაზე, ზოგიერთებს კი ერთხელაც არ დაუვლიათ თავისი უბნები. კომისიამ საჭიროდ დაინახა, სასანიტარო რაზმის გასაძლიერებლად მიიწვიოს ახალი ძალები. ამისთვის დაავალა ბ-ნს ავალიანს, სთხოვოს ქუთაისში მყოფ სტუდენტებს, რომ იკისრონ სასანიტარო მზრუნველობა და, ვინც დათანხმდება მოიწვიოს კომისიის შემდეგს სხდომაზე საქმეების გასაცნობად.

მთელი ქალაქი სანიტარულის მხრით გაიყო ექვს ნაწილად: მთის საპოლიციო ნაწილი (Нагорный полицейскій участокъ) მიენდო ექიმებს პ. მ. დონდაროვსა და ივ. გ. გომართელს; ცენტრალური საპოლიციო ნაწილი—ექიმებს კოტიკსა და ი. ი. ჩარექოვს; გაღმა მხარე (Зарѣчный участокъ)—ექიმებს ნათიძესა და ამაშუკელს.

ე. ს. გაშაკიძის ნაცვლად, რომელმაც დროებით სოფელში გადასახლების გამო თავი დაანება საეპიდემიო ექიმის თანამდებობას, მოწვეულ იქმნა ექიმი დ. ი. ჯაფარიძე.

კომისიამ კიდევ მიუცილებელ საჭიროდ სცნო, გადატანილ იქმნას ქალაქ-გარედ ორპირის ქუჩაზე, ვიტუშინსკის შენობაში მოთავსებული ხოპიორის ცხენოსან რაზმის ისტორიული თავლა. ამგვარი დადგენილება, მგონი, ეს მეათედ ხდება, მაგრამ, საგუბერნიო კომისიის წყალობით, თავლა ისევ ძველს ადგილზე რჩება, რის გამოც მთელი უბანი აყროლებულია და მცხოვრებლები მეტად შევიწროებულნი არიან. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საგუბერნიო კომისია ამ ახალს დადგენილებასაც ჩვეულებრივ მაუდს ქვეშ განუსვენებს და ვიტუშინსკის ზარალს არ მისცემს შენობის დაცლით: ღარიბი კაცია და შეებრალებათ!

კომისიამ საჭიროდ სცნო გამოიწეროს რამდენიმე ათასი ცალი კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისმიერ გამოცემული წიგნაკი ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და გაავრცელოს ხალხში; საჭიროდ სცნო აგრეთვე გააძლიეროს ქუჩა-მოედნების მგვლების რიცხვი.

ექიმმა კოტიკმა აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ მიღებულ იქმნას რაიმე ღონისძიება, რომ ქალაქის მცხოვრებლებს სასმელად მაინც სუფთა წყალი მივაწოდოთ. ამ მიზნისათვის ის ურჩევს ქალაქს, ფერმის მახლობლად, რიონის ნაპირს, დადგას რამდენიმე წყლის ამოსაწური (водяной насосъ), რომლებიდანაც მებოჭკეები წყალს პირდაპირ ბოჭკებში უნდა ასხამდნენ, ვედროს დაუხმარებლადო. ქალაქის ინჟენერმა დ. გ. ჯორჯაძემ განუმარტა კომისიას, ხეირიანის წყლის ამოსაწურის დადგმა ძლიერ დიდ ხარჯს გამოიწვევს, რასაც ქალაქი ვერ შესძლებს, და პატარა ტუმბოების (насосики) დადგმით კი ქალაქი მიზანს ვერ მიაღწევსო. კომისიამ მიანდო ექიმს ჩარექოვს, მოიწვიოს ქალაქის სხვადასხვა ნაწილიდან მებოჭკეები და მოელაპარაკოს მათ, იქნება დათანხმდნენ, თითო შაური რომ მოვუმატოთ ბოჭკა წყალზე, ფერმიდან ზიდონ წყალიო. ამასთანავე, ექიმ კოტიკის წინადადებით, კომისიამ დაადგინა: რადგან ქალაქი უკიდურეს სიღარიბეშია ჩავარდნილი, რის გამოც მისი სანიტარული მხარე მეტად ცუდს მდგომარეობაშია და მოსალოდნელია, თუ ხოლერა გაჩნდა, დიდი უბედურება დატრიალდეს,—აღძრულ იქმნას შუამდგომლობა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შესახებ იმისა, რომ მთავრობამ მისცეს ქალაქს 10,000 მანათი სანიტარულ მხრის გასაუმჯობესებლად.

✦ სააფთიაქო კომისიამ საჭიროდ სცნო დაიქირაოს ქალაქის აფთიაქისათვის ორი კასსირი (ქალი), რომელთაც ჯამაგირად თვეში თხუთმეტ-თხუთმეტი მანათი ექნებათ. კომისიის წინადადება საბჭოს ჯერ არც კი მიუღია და უკვე ოცზე მეტი მთხოვნელი აღმოჩნდა ხსენებულ ადგილის.

იხარი.

„საცდელად"...

გადაწყვეტილი აქვთ „საცდელად" შემოიღონ საერობო დაწესებულებანი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში... „საცდელად"... ეს სიტყვა იმას ნიშნავს, რომ შიდა რუსეთში ამ ორმოცის წლის განმავლობაში საერობო დაწესებულებათა არსებობამ არავის არაფერი არ ასწავლა, არავის არაფერი არ დაუმტკიცა და რომ დღესაც კიდევ არ იცის ადამიანმა, საჭიროა ეს დაწესებულებანი თუ არა.

ერთის მხრივ უნდათ საზოგადოების ძალები მიიწვიონ სახელმწიფო საქმეების მართვაში, მეორეს მხრივ კი საჭიროდ სცნობენ „გამოსცადონ", შეიტყონ, რამდენად გამოსადეგია ამ ძალების მიწვევა თვითმართველობის უბრალო საქმეში.

რუსეთის ორმოცის წლის გამოცდილება, განათლებულ ქვეყნების ასის წლის გამოცდილება სად არის?

ერობა? განა ასე ადვილია მისი შემოღება,—ერთის კალმის მოსმით? „საცდელად" კიდევ ჰო, არაფერია!..

არ გვეწყინა იმიტომ, რომ ამას წინადვე მოველოდით ყველანი. ეს პირველი არ არის. რუსეთში ყველაფერი კეთდება და შემოდის „საცდელად"...

კავკასიაშიაც, ამიტომ, ერობა უნდა შემოვიდეს ნელ-ნელა, თითო წვეთობით... „საცდელად"! ეს კი საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ გაძნელდეს ხალხის დამშვიდება, რომ ხალხში რუსეთისადმი უნდობლობა დამყარდეს...

კავკასიელებს კარგად შეგნებული აქვთ, რომ ხელის მოჭერის აშკარად მოსპობა, და თვითმართველობის უყოყმანოდ და დაუყოვნებლივ შემოღება საჭიროა ხალხის დასამშვიდებლად.

ახლა კი, როდესაც აცხადებენ, „საცდელად" უნდა შემოვიღოთო „საერობო დაწესებულებანი" კავკასიაში, ყველასთვის ცხადია, რომ, ალბად, ჯერ სამუდამოდ არ აპირებენ მათში ხელის მოჭერის მოსპობას, რომ ხელის მოჭერა მხოლოდ დროებით შემცირდება და სამუდამო მუქარასავით დარჩება რუსების ხელში...

საქმის ამნაირ გადადებაში ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის დროც მოვა შეუმჩნევლად და იმასაც, ალბად, „საცდელად" შემოიღებენ და ამ „ცდა"-სა და ყოყმანში დრო გავა, ოციოდე წელიწადი დაიკარგება.

რეფორმების მოლოდინში კიდევ უფრო გაიხრწნება და დაიშლება რუსეთის საპოლიტიკო სხეული და ეს გარემოება არ გაუკვირდება არავის.

რუსეთი პროგრესის გზაზე მიიზლაზნება. ერთ ნაბიჯს წინ რომ წასდგამს, ორს უკან იზამს და ერთს გვერდისკენ...

ამნაირად წინსვლას, რეფორმების შემოღებას ხალხისთვის რაიმე სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან! (ნოვ.).

პეკ.

ფინლანდიის საქმე.

„ფინლანდიის საქმე"... 7—8 წლის წინად ამ საქმეზე მხოლოდ „მოსკოვსკია ვედომოსტი" თუ იღებდა ხმას... ახლა კი „ფინლანდიის გაზეთის" ფურცლებზე ოფიციალურად ატყობინებენ მკითხველ საზოგადოებას, როგორ დაიწყო საწინააღმდეგო მიმართულება ფინლანდელებში... ოფიციალურად აცხადებენ, ეს მიმართულება მხოლოდ ორიოდე წლის საქმე არისო.

გამოდის, რომ მოსკოვის გაზეთმა იწინასწარმეტყველა ამ მიმართულების შემოღება ფინლანდიაში.

საკვირველიც არ არის, რომ მისი წინასწარმეტყველება გამართლდა: წინდაწინვე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ფინლანდიაში ახლად შემოღებული წესები გამოიწვევდა ხალხში არეულობას... რუსების „დამცველი პატრიოტები" აქაც სპობდნენ თავიანთ მოქმედებით ყოველგვარ კანონიერებას და ცდილობდნენ ძალმომრეობით შექმნათ რამე...

იმ ფინლანდიაში, რომელიც კანონიერების გზას ადგა ყოველთვის, ფარული წრეები დაარსდა, საიდუმლო სტამბები, სარევოლუციო აგიტაცია, ტერორი... ორი მოწინააღმდეგე დასი,—ფინლანდელები და „სვეკომანები", ე. ი. შვედელთა მომხრეები,—ერთმანეთს დაუახლოვდნენ, გადასწყვიტეს ერთად იმოქმედონ რუსების საწინააღმდეგოდ...

რა იყო ამ მტრობის მიზეზი?

ფინლანდიას იმ თავითვე ჰქონია საკუთარი კანონმდებლობა და სხვადასხვა საკონსტიტუციო გარანტიები. ხალხი შეეჩვია კანონიერებას—აზრის თავისუფლებას, პიროვნების ხელუხლებლობას, ადგილობრივ ფართო თვითმმართველობას. ის წყობილება, რომელიც ამჟამად მხოლოდ ენატრება რუსეთის საზოგადოებას, ფინლანდიაში დიდი ხანია არსებობს და სწორედ იმიტომ იქ განვითარდა ხალხი ქონებრივად და გონებრივადაც.

სანამ რუსეთის მთავრობა პატივს სცემდა ფინლანდიის კანონებს, ხალხიც არავითარ „სეპარატისტობას" არა ჰფიქრობდა, თუმცა რუსეთის ზოგიერთი გაზეთი, როგორიც არის, მაგ. „მოსკოვსკია ვედომოსტი", მუდამ სეპარატისტობას აჩვევდა თავზე ფინლანდიელებს და ათასნაირ ბოროტ-განზრახვას აბრალებდა მათ.

ამ გაზეთებს ეჯავრებოდათ ფინლანდიელებში სწორედ ის საკონსტიტუციო გარანტიები, რომლითაც ფინლანდიის ცხოვრება ძირიანად განერ-

---

გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობს. ამას გარდა, თუ მთავრობის წარმომადგენელის აზრით, ადათით დადგენილი სასჯელი დამნაშავესთვის მცირე გამოდგა, მას ეძლევა უფლება თავის მხრივ მინიჭებულ სასჯელს დაუმატოს დაპატიმრება (!)—დაბალი წოდების პირს ერთი დღიდან სამ თვემდის და მაღალ წოდებისას ერთი დღიდან ერთ კვირემდის. ცხადია, რომ მთავრობის წარმომადგენელს გადაჭარბებული უფლება აქვს მიცემული და, თუ მოისურვა, ადათსაც და შარიათსაც სრულიად გააბათილებს. ეჭვს გარეშეა, რომ მრავალი ადათები ახლანდელ ცხოვრების პირობებს სრულიად არ შეეფერება, მაგრამ საქმე სხვანაირად უნდა მოეწყოს და არა ადმინისტრატიულ თვითნებობის დამყარებით... ზოგიერთ ადათების შეუფერებლობის დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგ მაგალითს: შარა-გზაზე ნახეს მოკლული კაცის გვამი. ადათის ძალით, მოკლულის ჭირისუფალს უფლება ეძლევა მიიტანოს ეჭვი ახლო მდებარე სოფლებზე. ამ სოფლის მცხოვრებთაგან ის ირჩევს ექვს კაცს და შეაქვს საჩივარი სასამართლოში, რომ მას ეჭვი აქვს ამ ექვს კაცზე, ვითომ ამათ მოჰკლეს მისი მონათესავე. თუ მათ ვერ დაამტკიცეს თავის უდანაშაულობა, იმ შემთხვევაში იგინი აღიარებულნი იქმნებიან მკვლელებად. თავის გასამართლებლად კი საჭიროა შემდეგი პროცედურა: თითო მათგანმა უნდა იშოვოს ორმოცი მოწმე, რომელთაც უნდა დაიფიცონ ყურანზე, რომ ამა და ამ კაცს მომხდარ მკვლელობაში არავითარი წილი არ უდევსო. ორი დედაკაცის მოწმობა უდრის ერთი მამაკაცისას. შეიძლება, რომ ერთმა და იმავე პირმა ორმოც ჯერ დაიფიცოს (!).

შეიძლება, ოდესმე ამ ადათს ჰქონდა საფუძველი, მხოლოდ ახლა მას მცხოვრებლებიც არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ და ხშირად ჯავრის ამოსაყრელად ხმარობენ.

თვით სასამართლოს ორგანიზაცია შემდეგია: პირველი ინსტრუქცია მცირე საქმეების გასარჩევად გლეხთა შორის არის სოფლის სასამართლო, რომელიც უდრის ჩვეულებრივ სასოფლო სასამართლოს, შემდეგის განსხვავებით: აქაურ სასამართლოში დიდი გავლენა აქვს ყადს; აქ არ ირჩევა უმაღლეს წოდების მსახურთა (прислуга) საქმეები, რაც სრულიად გაუგებარია. შემდეგ ხარისხის სასამართლოს, რომელიც უდრის ჩვეულებრივ მომრიგებელ მოსამართლის კამერას, უწოდებენ საოლქო სასამართლოს, ვინაიდან მთელი ოლქიდან საქმეები ამ სასამართლოში იყრის თავს. ამ სასამართლოს თავმჯდომარეობის მოვალეობა დაკისრებული აქვს ოლქის უფროსს, ანუ უფრო ხშირად მის თანაშემწეს. წევრებად ითვლებიან ხალხისაგან არჩეული დეპუტატები და მთავრობისაგან დანიშნული ყადი. დეპუტატი იმდენია სასამართლოში, რამდენი ნაწილიც (участокъ) ითვლება ოლქში. დეპუტატების არჩევანი ხდება სამ წელიწადში ერთხელ შემდეგის გეგმით. სოფლის საზოგადოებები ირჩევენ ყოველ ას მცხოვრებზე თითო ამომრჩეველს. ამომრჩეველნი იკრიბებიან ნაწილის უფროსის თავმჯდომარეობით და ასახელებენ კანდიდატებს, რომელთა სიას ადგენს თავმჯდომარე, და შემდეგ ამომრჩეველი სათითაოდ გამოკითხავს, რომელ კანდიდატს დასახელებულთაგან აძლევს ის უპირატესობას. რომელსაც ამომრჩეველი აღნიშნავს, თავმჯდომარეც სწერს. როდესაც ამ ნაირად შეჰკრებს ყველა ხმებს, სთვლის მათ. კანდიდატთაგან სამნი, რომელთაც უმრავლესი ხმები მოუვიდათ, ითვლებიან ამორჩეულად, მხოლოდ ამ სამიდან ნამდვილ დეპუტატის ამორჩევა ადმინისტრაციის პრივილეგიას შეადგენს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამგვარ პირობებში არჩეული დეპუტატები ძნელად ჩაითვლებიან ხალხის წარმომადგენლებად, ვინაიდან ადმინისტრაციის წარმომადგენლის ასეთმა კონტროლმა და მონაწილეობამ უსათუოდ დიდი გავლენა უნდა იქონიოს არჩევნების შედეგზე. თითო დეპუტატს ჯამაგირად წელიწადში 200 მან. ეძლევა.

ყველა საოლქო სასამართლოებისათვის უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს, ეგრედ წოდებული, „დაღესტნის სახალხო სასამართლო (дагестанскій народный судъ)." სრულიად გაუგებარია, რად უწოდებენ ამ სასამართლოს სახალხოს, ვინაიდან ამ უკანასკნელს სასამართლოში წარმომადგენელი არ მოიპოვება. სასამართლოს წევრთ, რომელთაც დეპუტატები ეწოდება, ნიშნავს სამხედრო გუბერნატორი,—ყოველ ოლქიდან თითოს. ეგრედ წოდებულ, დეპუტატს ეძლევა ჯამაგირი, სახელდობ 400 მან. წელიწადში, ჩინები, ორდენები და 35 წლის „უმწიკვლო" სამსახურის შემდეგ—პენსია და ემერიტურა. ერთი სიტყვით, დეპუტატს დეპუტატობისა არაფერი აცხია, არამედ ჩვეულებრივი მოხელეა.

ახლა სასამართლოში ითვლება ცხრა დეპუტატი, რომელთაგან ორი ყადის მოვალეობასაც ასრულებს, მათ შორის ერთი პოდპოლკოვნიკია, ორი კაპიტანი, სამს სამოქალაქო ჩინები აქვთ და სამი უჩინოა. სასამართლოს თავმჯდომარედ და მის მთავრ გამგებლად ინიშნება სამხედრო გუბერნატორის ერთ-ერთი თანაშემწეთაგანი ღენერლის ჩინით.

მიუხედავად ასეთის ორგანიზაციისა, არც ეს სასამართლო არის აღჭურვილი სრულის კომპეტენციით და სამხედრო გუბერნატორს უფლება ეძლევა სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმოს ან და მინიჭებული სასჯელი დამნაშავესათვის შეუფერებლად ჩასთვალოს. ასეთ შემთხვევაში პირადად ადგენს მსჯავრს, რომლის განსაჩივრებაც უკვე შეუძლებელია. დიდი ფანტაზია უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასეთნაირად მომქმედ სასამართლოს სახალხო სასამართლო უწოდოს.

საქმის განხილვა როგორც საოლქო სასამართლოში, ისე სახალხოშიაც თეორეტიულადაც ხალხის დასწრებითა ხდება, პრაქტიკულად კი მიღებულია, რომ, ვისაც სურს სასამართლოს სხდომებს დაესწროს, თავმჯდომარისაგან ნებართვა (?) უნდა აიღოს. მოჩივარს ანუ მოპასუხეს თავის ინტერესების დასაცავად ვექილის მოყვანის ნება არა აქვს.

აი, მკითხველო, რანაირად არის მოწყობილი დაღესტნელთათვის სამსჯავრო ნაწილი. დამეთანხმებით, რომ ასეთ-ნაირად მომქმედ სასამართლოს უფრო მართალი იქნება ვუწოდოთ ადმინისტრატიული სასამართლო, ვიდრე სახალხო. მართლაც, თუ მეცნიერულად გამორკვეულ და შემუშავებულ კანონების მოხმარებას სჭირია სპეციალური იურიდიული მომზადება, ნუ თუ ისეთი კანონების მოხმარება, რომელნიც ჯერ ყველანი დაწერილნიც არ არიან, ისეთი უბრალო საქმეა, რომ ჩვეულებრივ ადმინისტრაციის მოხელეს შეუძლია! ამას ისიც დაუმატეთ, რომ სასამართლოებში შარიათის რუსული თარგმანიც არ მოიპოვება. მაგრამ რომელი მხარეა მოწყობილი დაღესტნის ყოფა-ცხოვრებისა რიგიანად, რომ სამსჯავრო ნაწილი იყოს?..

არის კი იმედი, ახლო მომავალში დაღესტნის საქმეების მოწესრიგებისა? ამას დავინახავთ შემდეგის და უკანასკნელ წერილიდან.

დროებით დაღესტნელი.

ჩეოდა რუსეთის ცხოვრებას. ამ გაზეთს ჰგონია, რომ სადაც „საზოგადოებას“ რამე უფლება აქვს მინიჭებული, იქ „მთავრობა“ აღარ არსებობს, რომ „მთავრობამ“ უნდა შთანთქას, უნდა მოსპოს „საზოგადოება. სწორედ ამნაირმა შეხედულებამ ათასნაირი უბედურება დაატრიალა რუსეთში...

დრო არის, შეიგნოს ადამიანმა, რომ ხალხის კულტურული განვითარება შეუძლებელია იქ, სადაც ,,მთავრობა'' და ,,ხალხი'' ერთმანეთის მოპირდაპირენი არიან, დრო არის ვიცოდეთ, რომ პრესსის თავისუფლება, მთავრობის მოქმედების თავისუფალი კრიტიკა,—ბოროტმოქმედება არ არის, რომ, პირიქით, იგი აუცილებელი რამეა სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

ამნაირი თავისუფლება არსებობდა წინად ფინლანდიაში, მაგრამ შემდეგ ის წესი შეიცვალა და თანდათან შემოიღეს სხვადასხვა შევიწროვება, გამეფდა რეაქცია და ძირიანად შეირყა კანონიერების გრძნობა ფინლანდელებში:

პრესსის თავისუფლება და კრიტიკის თავისუფლება თვით რუსებს არა აქვთ რუსეთში და ამიტომ ფინლანდიაში ასეთივე თავისუფლება აკრძალეს. ამას მოჰყვა არეულობა...

მაგრამ წესიერების აღდგენაც ადვილია. ამისთვის საკმარისია არსებულ კანონების აღდგენა, საჭიროა ხელახლად შემოიღონ პიროვნების ხელუხლებლობა, პრესსის, კრებების თავისუფლება.

ფინლიანდიაში ძირითად კანონების აღდგენა მით უფრო საჭიროა, რომ ამის საწინააღმდეგო მიმართულებამ, უკვე გამოაჩინა თავის ნაყოფი,—ბიუროკრატიის მიერ კანონების დარღვევას მოჰყვა კანონების დარღვევა ხალხისაგან...

(ნოვ.).

პრესსა

მთელი საუკუნეა, რაც კავკასია და კერძოდ საქართველო რუსეთთან არის პოლიტიკურად შეერთებული, და ეს დრო თითქო საკმაო იყო, რომ რუსეთის საზოგადოებას ჩვენი მხარე გაეცნო და კავკასიის ხალხებზე სწორი წარმოდგენა შეედგინა. ნამდვილად კი ეს ასე არაა,—რუსეთის ხალხი და „საზოგადოება“ ჩინეთს უკეთ იცნობს, ვიდრე კავკასიას. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გადმოგვცემს ბ-ნი Ом-ი გაზეთ „ახალ მიმოხილვა“-ში (№ 106):

> რუსები არ იცნობენ კავკასიას. ამას წინად, მაგ. რუსეთში ერთი ყველაზე პროგრესიული და ყველაზე მეტად გავრცელებული გაზეთი ამბობდა, ამიერ-კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება ნაადრევიაო, რადგან მცხოვრებნი უკულტურო და გაუნათლებელნი არიანო. ამ გაზეთს აზრადაც არ მოსვლია ის გარემოება, რომ კულტურულ-ისტორიული ცხოვრება კავკასიის იმ ერთა, რომელთაც ის უკულტუროდა სთვლის, ცოტა ადრე დაიწყო, ვიდრე რუსებისა. მაგრამ რას იზამ, რომ რუსი მეტად სთვლის, ჩაიხედოს ისტორიაში, როდესაც ის ფრიად სერიოზულ საკითხს სწყვეტს!
>
> მეორე მაგალითი უფრო დამახასიათებელია. მოსკოვის ერთ პროგრესიულ ახალ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი რუსეთის გაზეთების სიას ადგენდა და ძალიან განცვიფრდა, როდესაც უთხრეს, კავკასიაშიაც გამოდის გაზეთებიო. საბრალო რედაქტორს ვერც კი წარმოედგინა, რომ კავკასიაში შეიძლება გაზეთები იბეჭდებოდეს. აი, ამგვარად აქვს რუსს წარმოდგენილი ყველაფერი, რაც კი კავკასიას შეეხება.
>
> ყოველ მთიულს, მაგალითად, რუსები ჩერქეზებს ეძახიან და მათ ყველა მაჰმადიანებადა სთვლიან. ქართველსა და სომეხს რუსი ვერ არჩევს. რუსს რომ უთხრათ, ქართველი სხვაა და სომეხი სხვაო, გაკვირვებით შემოგხედავს. სატახტო ქალაქების ზოგიერთი გაზეთები ამ ბოლოს დროს ჰბეჭდავენ კავკასიის შესახებ წერილებს; რუსები ამ წერილებს დიდის ცნობის-მოყვარეობით ჰკითხულობენ, ვინაიდან ეს ამბები მათთვის ისე ახალი და უცნობია, როგორც ამბები ჰოტენტოტებისა ან აფრიკის ველურ ხალხებისა. ბევრ რუსის წარმოდგენით, კავკასია მხოლოდ კავკასიის მჟავე წყლებით განისაზღვრება. „კავკასიაში ვიყავიო“, რომ იტყვის რუსი, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოფილა კისლავოდსკში, პიატიგორსკში და სხვ.

დიაღ, ასე კარგად იცნობენ რუსები კავკასიას და იციან, თუ რა საჭიროებანი და მოთხოვნილებანი აქვს ჩვენს ხალხს. ადვილად წარმოიდგენთ, თუ როგორ შეთანხმებული უნდა იქმნეს ჩვენს ცხოვრებასთან ის კანონები, რომელსაც კონსტიტუციონურ-ცენტრალისტურ რუსეთში დაადგენს სწორედ ის „საზოგადოება“, რომელიც დღეს ქართველს სომეხისაგან ვერ არჩევს და კავკასია „მჟავე წყალი“ ჰგონია... ჩვენში კი მაინც არიან ისეთი ბრძენი პოლიტიკოსები, რომელნიც ხალხისთვის უფრო სასარგებლოდ სთვლიან, რომ ჩვენის შინაურ ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგება იმგვარ „მცოდნე“ ხალხის სურვილსა და გადაწყვეტილებაზე იყოს დამოკიდებული...

რუსეთი

ბულიგინის მიერ შემუშავებული **გეგმა სახალხო წარმომადგენლობისა გამოირკვა.** წვრილმანი მუხლები ამ გეგმისა ჯერ-ჯერობით შემუშავებული არ არის, რაც შეეხება ძირითად პირობებს, დაახლოვებით შემდეგი იქნება: სახალხო წარმომადგენლობა მუდმივი იქნება და არა დროებითი. ამ დაწესებულებას დაერქმევა „სახელმწიფო რჩევა“ (государственная дума) და ისეთივე უფლებანი ექნება, როგორც ამჟამად სახელმწიფო საბჭოს აქვს (госуд. совѣтъ), ეხლანდელ სახელმწიფო საბჭოს მხოლოდ კანონის რჩევის უფლება აქვს და მომავალს სახელმწიფო რჩევასაც ასეთივე უფლებანი ექნება. რჩევაში დაესწრებიან მინისტრებიც ან იმათის თანამდებობის აღმასრულებელნი. ყოველი კანონი ჯერ რჩევამ უნდა განიხილოს და მერე სახელმწიფო საბჭოს გადასცეს. თუ რომელიმე კანონი რჩევამ დაიწუნა, ამ კანონს საბჭო მაინც განიხილავს და შეუძლიან მიიღოს კიდევაც. ამ რიგად, რჩევის უმცირესობა გამარჯვებული გამოვა. სახელმწიფო საბჭო ზედა პალატას ემგვანება, იმ განსხვავებით კი, რომ საბჭოს წევრებს მთავრობა დანიშნავს (რ. ვ.)

✦ პოლონეთის **უნიატები მრავლად ღებულობენ კათოლიკობას.** მარტო ხოლმის მრევლიდან 1500 კაცმა ისურვა კათოლიკობის მიღება (რ. ვ.).

✦ რუსეთში **ახალი ხერხი მოუგონიათ პროკლამაციების გასავრცელებლად.** 8 მაისს პეტერბურგში, ტავრიდის ბაღში, სახალხო სეირნობა ყოფილა. უცებ ერთს ალაგას რაღაცა იფეთქა. იმავე დროს ის ადგილი, სადაც აფეთქება მოხდა, სხვადასხვა ფერის პროკლამაციებით მოიფინა. პროკლამაციები პოლიციამ აკრიბა. ცოტახნის შემდეგ მეორე ალაგასაც აფეთქდა ისეთივე ქაღალდის კოლოფი და ირგვლივ პროკლამაციები გაჰფანტა. ერთი წუთის შემდეგ მესამე ალაგასაც იგივე ამბავი მოხდა. ცოტა ხნის შემდეგ მთელს ბაღში ისმოდა ტკაცა-ტკუცი. მთელი ბაღი პროკლამაციებით მოიფინა. პოლიციამ კოლოფებს ძებნა დაუწყო და ერთი მთელი კოლოფი იპოვა. კოლოფი ფრთხილად აიღეს და ბაღის კანტორაში წაიღეს გასასინჯად. შეიტანეს თუ არა ოთახში, კოლოფმა იფეთქა და მთელი ოთახი პროკლამაციებით მოჰფინა. ბოლოს გამოირკვა, რომ კოლოფში ასაფეთქებელი მასალა და შეკრული პროკლამაციები აწყვია. კოლოფი თვითონვე იფეთქებს და პროკლამაციებს ფანტავს. პოლიციამ აფეთქებული კოლოფები და პროკლამაციები საიდუმლო პოლიციაში გაგზავნა (რ. ვ.).

✦ ბალაშოვის მაზრის გლეხებმა ამას წინად მინისტრს ბულიგინს პეტიცია გაუგზავნეს და დამფუძნებელ კრების მოწვევა სთხოვეს. ამ დღეებში **ამ გლეხებს ადგილობრივი გუბერნატორი ეწვია და 16 კაცი დააპატიმრა** (რ. ვ.).

✦ რუსეთის განთქმულმა მწერალმა **ლ. ტოლსტოიმ და იაპონურ სოციალისტურ გაზეთის— ,,უბრალო ხალხის''—რედაქტორმა იზო აბემ ერთმანეთს წერილები გაუგზავნეს.** იზო აბე იწერება: „ძვირფასო ტოლსტოი! იმედი მაქვს, არ გეწყინებათ, რომ ასე გიწოდებთ და თქვენს წოდებას არ ვიხსენიებ, რადგან, ჩემის აზრით, წოდებით მიმართვა სიბავშვეა. ლონდონის გაზეთ „ტაიმს“-ში დაბეჭდილი თქვენი წერილი იაპონურად გადმოვთარგმნეთ და ჩვენს გაზეთში დავბეჭდეთ. დიდის სიამოვნებით გიგზავნით ორ ნომერს, სადაც თქვენი წერილია დაბეჭდილი. ჩვენ სოციალისტები ვართ და ომს ვეწინააღმდეგებით. ძალიან გვიჭირს ომის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ, რამდენიც კი შეგვიძლიან, ჩვენს მოძღვრებას ვქადაგებთ და ხალხში ვავრცელებთ. იმედი მაქვს, რომ კიდევ დიდხანს იცოცხლებთ და ომის წინააღმდეგ იბრძოლებთ“.

ამ წერილზე ტოლსტოიმ იზო აბეს პასუხი გასცა, და, როგორც მოსალოდნელი იყო, თავის აზრიც გამოსთქვა. ტოლსტოი უარჰყოფს სოციალიზმს და პირად გაუმჯობესობას, ინდივიდუალიზმს ემხრობა (რ.).

✦ 1 მაისს ნოვოროსიისკში **ნება-დართული დემონსტრაცია მომხდარა.** დილით მთელი ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა. ნოვოროსიისკში დემონსრაცია არას დროს არ ყოფილა და მცხოვრებლებსაც ეგონათ, დემონსტრანტები ამოგვჟლეტავენ და აგვიკლებენო. დილის 11 საათზე მთავარ ქუჩაზე რამდენიმე ასი კაცი შეიკრიბა, წითელი დროშებიააფრიალეს და „მარსელიეზას“ სიმღერით გზას გაუდგნენ. ხალხს ჯერ ეშინოდა, მაგრამ მერე თანდათან გათამამდა და დემონსტრანტებს შეუერთდა. რამდენიმე ათასი კაცი ორი საათის განმავლობაში ქუჩა-ქუჩა დადიოდა. მეორე დღეს იგივე განმეორდა. დილის 10 საათზე ქუჩაზე 400 კაცი გამოვიდა და სიმღერით გასწია. წინ ჟანდარმები და კაზაკები დაუხვდნენ. ჟანდარმის აფიცერმა ხალხს სიტყვით მიმართა. ხალხმა სტვენითა და „ურას“ ყვირილით უპასუხა. აქეთ-იქიდან დემონსტრანტებს მუშათა ჯგუფები უერთდებოდნენ. ტროტუარები ხალხით იყო გაჭედილი. 12 საათზე დემონსტრანტების რიცხვი რამდენიმე ათას კაცამდე ავიდა. ხალხი ნელის ნაბიჯითა და მარსელიეზას მღერით მიდიოდა. წინ წითელი დროშები მიჰქონდათ. დემონსტრანტებს წამდაუწუმ ასობით უერთდებოდნენ. აქა-იქ ხალხი ჩერდებოდა, ორატორები სიტყვებს ამბობდნენ. ხელი არავის შეუშლია. დემონსტრაციამ სამ საათამდის გასტანა. ხალხი მშვიდობიანად და თავის ნებით დაიშალა. წესრიგი სამაგალითო ყოფილა. მესამე დღეს მეორე ჯგუფმა—,,პატრიოტებმაც'' მოახდინეს მანიფესტაცია. ჯერ პარაკლისი გადაიხადეს და მერე პატრიოტულ სიმღერებითა და ეროვნულ დროშებით ქალაქი შემოიარეს. წეს-რიგი არ დარღვეულა (ჩ. პ.).

✦ ახლა საბოლოოდ გამოირკვა, რომ გლეხთა მოძრაობის მოთავეები და აგიტატორები კურსკისა და რიაზანის გუბერნიებში, გუბერნატორების ბრძანებით, **როზგით სცემეს.** შარშან კი უმაღლესის ბრძანებით, როზგი და ცემა გაუქმებულ იქმნა (რ. ვ.).

✦ 11 მაისს, ღამის 12 საათზე, სედლეცის პოლიცმეისტერი შედევრი თეატრიდან კლუბში მივიდა და აივანზე დაჯდა. უცებ უცნობმა ქუჩიდან **პოლიცმეისტერს ყუმბარა ესროლა.** ყუმბარამ იფეთქა. პოლიცმეისტერს 24 ჭრილობა აქვს. ათამდე სტუმარი და მოსამსახურე დაიჭრა. კლუბის აივანი მინგრეულ-მონგრეულია. ახლომახლო სახლების ფანჯრები ჩამტვრეულია. ყუმბარის მსროლელი მიიმალა (რ. ს.).

✦ **გაფიცვა მთელ რუსეთს მოედო.** გაიფიცნენ ფაბრიკებისა, ქარხნებისა და რკინის გზების მუშები, ნოქრები, მეეზოვენი, მეეტლენი, და სხ. ამჟამად გაფიცვა შემდეგ ქალაქებს მოედო: ვარშავას, ვილნოსა, მინსკსა, ბაქოსა; ოდესასა, სევასტოპოლსა, ნოვოროსიისკსა, კავკავსა, რიაზანსა, ალექსანდროვსკსა, კურსკსა, კიევსა, ხარკოვსა, ეკატერინოსლავსა, ტამბოვსა, ნოვოჩერკასკსა, ელისავეტგრადსა, ტაგანროგსა, სარატოვსა, დონის-როსტოვსა, ლიბავასა, ლოძსა, რიგასა, სამარასა, უფასა, ყაზანსა, რიბინსკსა, ცარიცინსა, ასტრახანსა, სმოლენსკსა, მელიტოპოლსა, ხერსონსა, კიშინიოვსა, კამენეც-პოდოლსკსა, კერჩსა, ფეოდოსიასა, ჩერნიგოვსა, ნიკოლაევსკსა, ტირასპოლსა, სიმფეროპოლსა და სხვ. (რ. ს.).

თეატრი და ხელოვნება

შაბათს, 14 მაისს, რკინის გზის სახელოსნოების თეატრში, ახალგაზდა სცენის მოყვარეებმა, გ. გალიკურაშვილის მონაწილეობით და გ. მჭედლიშვილის გემგეობით, წარმოადგინეს ახალი პიესა, „ბრძოლა არსებობისათვის“ ოთხ მოქმედებიანი და 7 სურათიანი დრამატიული პოემა, ლექსად დ. გაბრუაშვილისა! ალაგ-ალაგ პიესაში თანამედროვე აზრია გატარებული, მაგრამ ბევრი ნაკლულევანება აქვს. პიესა უხერხულად არის დაწერილი.

პიესაში თუმცა ნათლადაა დასურათებული ბატონების უდიერი და საზიზღარი ქცევა და ყმაგლეხების დაჩაგვრა, მაგრამ პიესის მოქმედებანი სულ სხვანაირად არის დასურათებული. პირველი მოქმედება „პატარა კახს“ წააგავს, მეორე „არსენას“, მესამე „და-ძმას“, მეოთხე „ჰამლეტს“ და უკანასკნელი კიდევ „ასპინძის ომს“. პიესამ ძლიერ სუსტად ჩაიარა,—როლის უცოდინრობა უშლიდათ ხელსა და გარდა ამისა, ისეთი პირებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომელნიც პირველად გამოვიდნენ სცენაზე. წარმოდგენას დიდძალი მუშა ხალხი დაესწრო. წარმოდგენა ღამის ორ საათზე გათავდა.

დაუდ-ბეგ.

კორესპონდენცია

სიღნაღი. მამულის მფლობელობა ქიზიყში ძალიან არეულ-დარეულია. ერთის სოფლის მამული მეორისაგან წესიერად განსაზღვრული არ არის; ამის გამო ხშირია ერთის სოფლის მეორესთან დავა საზღვრების გამო. აგერ მეექვსე თვეა, რაც სოფელ ანაგასა და ს. ფხოვანს შორის ასტყდა დავიდარაბა ორმოც დესეტინის ოდენა მამულზე, რომელიც მდებარეობს ს. ფხოვანის კალოებთან და რომელსაც „ძველ ანაგას“ ეძახიან. ანაგელები ამ ადგილს სთვლიან თავის საკუთრებად, ფხოვნელები კიდევ თავიანთად. საქმე იქამდის გამწვავდა, რომ, ერთს მშვენიერ დღეს, ანაგელები დარაზმდნენ, გაიწყვნენ თოფ-იარაღით და, რიცხვით ხუთას კაცამდე, წავიდნენ «ძველ ანაგას» ფხოვნელების ასაკლებად. და უნდა ითქვას ანაგელების სასირცხვილოდ, რომ აიკლეს კიდეც ფხოვნელები: გადაუწვეს ლობეები, დაუჩეხეს ვაზები და ხეხილები, დახოცეს საქონელი და სხვა. ფხოვნელების ზარალი ორას თუმანს აღემატება. პოლიციამ მოზღვავებულ ხალხთან ვერა გააწყო-რა. ბოქაული ქვემო-მაჩხაანისა თვით ადგილობრივ ბძანდებოდა და თავის ბედნიერის თვალით უცქეროდა, როდესაც ანაგელები ანადგურებდნენ ფხოვნელების საცხოვრებელს.

დღეს ამ სადავო ორმოც დესეტინა მამულს სტრაჟნიკები მიუყენეს და სამოქმედოდ არც ერთ მხარეს არ უშვებენ.

ვითომ საგუბერნიო მმართველობიდან მიწის მზომელიც დაიბარეს, აზომ-გაზომეს კიდეც; ორივე მოდავე მხარეც იხვეწებოდა: ნუ დასტოვებთ უხმარებლად მაგოდენა მამულს, ან ერთს გვარგუნეთ, ან მეორესაო. მაგრამ გლეხების თხოვნამ ვერ გასჭრა, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი გამოურკვევლობა? მამული უნდა სცდებოდეს და მისი გადასახადი კი უნდა იხადოს სოფელმა!

ჯერ ეს დავა არ გათავებულა და ასტყდა ასეთივე ამბავი სოფ. საქობოსა და ასანურს შორის. ხასიათი დავისა იგივეა: საზღვრების გაურჩევლობა. აქაც რაკი საქმის გადამწყვეტად სცენაზე მუშტი გამოვიდა, დიდმა საქობომ აიკლო და დააზარალა პატარა ასანური. კიდევ საჩივარი, კიდევ გაუგებრობა, კიდევ დაუკმაყოფილებლობა!

ყველაზე მეტი დანაშაული ამ არეულობასა და გამოურკვევლობაში მიუძღვის სახაზინო მამულების გამგეობას, რომელიც ითვლება მესაკუთრედ ქიზიყის სახელმწიფო მამულებისა. ამ კურთხეულ გამგეობას, ვითარცა მამულის პატრონს, უნდა ჰქონდეს პლანები თვითოეულ სოფლის მამულისა, უნდა ჰქონდეს ნაანგარიშები რაოდენობა მამულებისა და სხვა. წარმოიდგინეთ, რომ ამ ახირებულ მემამულეს არავითარი ცნობები არა აქვს, მაშ რითი ხელმძღვანელობდნენ ხარჯის გაწერაში? ახლა ჩანს, რომ არაფრით. სრულიად თავისუფლად, უფაქტებოდ, უცნობებოდ უწერნიათ ხარჯები. ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ ქიზიყი წელში იხნიქება და ვერ დაუძრავს ხარჯების სიმძიმე.

მამულის მფლობელობის გაწესრიგება, აწყვა, საზღვრების გამოკვლევა,—აი, რა უნდა ქიზიყს ჩქარა, დაუხანებლად.

10 მაისს ძლივს მოახერხა სიღნაღის მამასახლისმა ახალ ხმოსნების შეკრება ცოტა არ იყოს, მველი მამასახლისი ზანტობს და ხელს არ უწყობს და არ აჩქარებს ახალის მოურავის არჩევას: ხელს არ აძლევს, იმედი არა აქვს ფონს გავიდეს, და უნდა კვლავ უსაქმურად ატაროს საქალაქო პორტფელი. ახალი ხმოსნები სიფხიზლესა და საქმიანობას იჩენენ. ღმერთმა ჰქმნას: ეგები ახლა მაინც ეღირსოს ქალაქს რამე წარმატება. ძველმა ხმოსნებმა თავის ზანტის მეთაურით ქალაქის საბჭო აქციეს ძველ „ღოროდნიჩის“ კანცელარიად: გადასწერ-გადმოსწერენ ქაღალდებს, გაგზავნ-გამოგზავნიან „ოტნოშენიებს“ და ჰგონიათ, რომ საქმეს აკეთებენ. ცოცხალი სიტყვა, მოქმედება-კი მთლად ჩაჰკლეს.

ახალ ხმოსნებს მოეხსენდათ თხოვნა ტფილისის გუბერნიის სამოსწავლო დირექტორისა იმაზე, რომ ქალაქმა აპატიოს სადირექციო დიანოზოვისეულ სახლს დაფასების ხარჯების ვალი. ხმოსნებმა ერთხმად უარი განაცხადეს ამაზე; რადგან დიანოზოვის სადირექციო სკოლა არავითარ ყურადღებას არ აქცევს სამშობლო ენების სწავლებას და უოვლდავე მშობლიური გამოდევნეს სკოლიდან, აღარც ჩვენა გვაქვს ხალისი დახმარების გაწევისაო.

გოგრა-ქევხა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! „ივერიის“ № 72-ში დასტამბული იყო ქართულ ოპერის შესახებ რეცენზია ს. ტოლისა, რომელშიაც მთელი ქება-დიდება ამ საქმისა მერგო კერძოდ მხოლოდ მე. მოვალედ ვრაცხ მოვახსენო ქართველ საზოგადოებას, რომ პირველად ქართულ ენაზე ოპერის დადგმის თაოსნობა, შრომა და ამაგი ეკუთვნის ბ. ილია კარგარეთელს, რომელმაც არ დაზოგა თავისი თავი, რომ საქმე კარგად მოეწყო.

ნ. ქართველიშვილი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

16 მაისი.

შანჰაი, 15 მაისი. ყოველ მხრით მხოლოდ ის ამბები მოდის, რომ ცუსიმასა და იაპონიის კიდეთა შუა ბრძოლის შესახებ არავითარი დაწვრილებით ცნობა არ ვიცითო, თუმცა დეპეშების კილო მოწმობს, რომ რუსების საქმე მარჯვედ მიდის. ამბობენ ბრძოლაში ვლადივოსტოკის ესკადრაც იღებდა მონაწილეობასაო. ინგლისის ერთი ფირმა იუწყება ტოკიოდან იაპონიის გამარჯვებაზე, თუმცა არ ერწმუნებიან. ქალაქი აფორიაქებულია. საომარი გემები წასასვლელად მზად არის. ჩინელებს აღელვება ეტყობათ, ვუზუნისა და შანჰაის შუა ტელეგრაფი შეჩერებულია. გუშინდლიდან სავაჭრო გემები აღარ გადიან ზღვაში, ელიან ცნობებს.

ტოკიო, 15 მაისი (ტაიმსი). შაბათს, ნაშუადღევის ორ-სამ საათზე, დაიწყო ბრძოლა. ჯერ არავითარი ოფიციალური ცნობა არ გამოუცხადებიათ.

შანჰაი, 15 მაისი. წარსულს ღამეს ვუზუნში ისმოდა ზარბაზნის სროლა. დღეს ვუზუნში მოვიდა კრეისერი, რომელიც მალევე გაბრუნდა. ნაგასაკიდან წამოსულ გემს იაპონიის 33 საომარი გემი უნახავს. ამბობენ, როჟესტვენსკის ესკადრა სამ ნაწილად გაყოფილი სამის გზით მიდის, ერთი—კორეის სრუტეში, მეორე—სანგარისა და მესამე—ლაპერუზოვის სრუტეში.

ტოკიო, 15 მაისი. ხოკაიდოდან შეუმჩნევიათ რუსეთის ორი გემი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან მოდიოდაო. იაპონიის სამგზავრო გემებმა ბრძანება მიიღეს, მიმოსვლა შეაჩერეთო.

ტოკიო, 15 მაისი. ,,დეილი ტელეგრაფი''. დღეს დილით კუნძულ ხოკაიდოს მახლობლად უნახავთ რუსეთის სამი გემი. დილის 6 საათზე რუსეთის ესკადრა ცუსიმას კუნძულს უახლოვდებოდა. ამბობენ, 6 პირველ-ხარისხოვანი გემი არისო. სიმონესოკში ზარბაზნების გრიალი ისმოდა. შანჰაიდან იუწყებიან რომ იაპონიის საომარ გემებმა 14 მაისს იერიში მიიტანეს რუსეთის ესკადრის ერთს ნაწილზე.

ცინტაუ, 15 მაისი. ამტკიცებენ, რომ იაპონელებმა დაჰკარგეს ერთი კრეისერი და ათი ნაღმიანი გემიო.

შანჰაი, 15 მაისი. უმავთულო ტელეგრაფით გადმოგვცეს, ვლადივოსტოკის კრეისერები ნავთსადგურიდან გავიდნენ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. «ასკოლდი» შანჰაიდან წასვლას ეპირებაო. ჩინეთის კრეისერები და სიმაგრე გაფაციცებით თვალს ადევნებენ. იპონიის მთავრობამ აცნობა მოვაჭრეებს, რომ ეხლა საფრთხილოა საქონლის გაგზავნაო.

ჩიფუ, 15 მაისი. ინგლისის მთავრობას დეპეშით შეუტყვია, რომ ერთი ჯავშნიანი გემი და სხვა გემებიც დაზიანდნენო. იაპონელები ფეხდაფეხ მისდევენ მათ ვლადივოსტოკისაკენ. იაპონელებმა ყველა გემებით და წყალქვეშ მავალ ნაღმიანი გემებით მიიტანეს იერიშიო.

ნიუ-იორკი, 16 მაისი. გარეშე საქმეთა მინისტრმა დეპეშა მიიღო, რომ რუსეთის ჯავშნიანი გემი ,,ბოროდინო'' იაპონელებმა ჩაძირესო.

პარიზი, 16 მაისი (საკუთ. კორესპ.). როჟესტვენსკიმ მშვიდობიანად გაიარა კორეის სრუტე, თუმცა რამდენიმე ძველი და ნელა მოსიარულე გემი დაჰკარგა. სამაგიეროდ ვლადივოსტოკს მიაღწევსო.

ტოკიო, 14 მაისი. იაპონიის ჯარმა ჩანტუს ჩრდილოეთით ექვსის მილის მანძილზე სუმინჩენი დაიჭირა. ამ მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვსო.

სიმონოსეკი, 14 მაისი. დასავლეთისკენ მიმავალი ყველა გემები გააჩერეს.

ბერლინი. იაპონიამ ჩინეთს ნოტა გაუგზავნა, რომლითაც თხოულობს რუსეთის გემებს ფუზუნში იარაღი აჰყარეო. პარიზიდან იუწყებიან, რომ ტიანძინიდან მოსულ ცნობების თანახმად, იაპონელთა ზარალი შესამჩნევიაო. როგორცა სჩანს, დაღუპული გემი ზღვაში ჩაწყობილს ნაღმებს წასწყდომია. ამერიკის ნაგასაკელი ელჩი ამ ცნობას უმატებს, რომ მე აკრძალული მაქვს იაპონიის ზარალი გაცნობოთო.

პარიზი, 16 მაისი. ჩიფუში გავრცელებულია ხმა, ვითომც იაპონელთა კრეისერი ,,ნისსინ'' ცოტათი დაზიანდაო. იაპონურ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, როჟესტვენსკი ცუსიმას მახლობზე გამოჩენილა 14 მაისს დილით, ხშირის ბურუსის დროს. ნაშუადღევს, როდესაც ბურუსი გადაიწმინდა, იაპონელებმა შენიშნეს და ბრძოლა აუტეხეს ასე 2—3 საათზე ნაშუადღევს. დიდი ქარბუქი და ღელვა იყო. ტოკიოდან ბრძოლის შესახებ ამბების მიღება შეუძლებელი გახდა. ინგლისის ესკადრა ჰონკონგიდან გამოვიდა და ჩრდილოეთისაკენ გაემართა.

ვლადივოსტოკიდან რომში მიღებული დეპეშა იუწყება, იაპონელთა ადმირალების ... და კამიმურას ესკადრები გამოჩნდნენ ვლადივოსტოკის მახლობლად, რომ გზა მოუჭრან ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრასაო. მეორე ბრძოლა ვლადივოსტოკთან აუცილებელია.

ჩიფუდან კერძო წყაროებით მიღებულ ცნობებით, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის ერთი გემი კიაოჩაოს 13 მაისს მოვიდაო. ეს გემი ერთ სხვა გემს დასჯახებია და ძლიერ დაზიანებულს ძლივს მიუღწევია კიაოჩაოს ნავთსადგურში.

პერმი, 15 მაისი. გუშინ მასწავლებელთა კრება აკრძალა პოლიციამ. დიდძალი ხალხი შეიკრიბა. პოლიციას ცდამ ამაოდ ჩაუარა—ვერავინ დაატუსაღა. ორჯელ მოახდინეს მანიფესტაცია. მეორე სადამოთი მანიფესტანტებმა რევოლვერები დასცალეს. ერთი პოლიციელი დაიჭრა. ცამბირის ქუჩაზე ქვებს ისროდნენ და ფანჯრები ჩაამტვრიეს. ჯარი გამოიწვიეს, თუმცა იარაღი არ უხმარიათ. მანიფესტანტები დამე დაიშალნენ, სიწყნარეა.

ნახიჩევანი, 15 მაისი. 12 მაისს მოუკლავთ 22 სომეხი, ორი მუსულმანი. ოთხი დაჭრილი გვამი უპოვნიათ. დაჭრილთა რაოდენობა ჯერ არ იციან. სოფელი ტაზაკენდი აოხრებულია. სოფელ ჯაგრაში მოუკლავთ რამდენიმე სომეხი, საქონელი გაუტაცნიათ. სოფელ კარახანბეკში ორი დღეა სიწყნარეა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. (11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

ზოტრაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

☛ კანტორა ☚
„კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საზოგადოებისა“ იმყოფება ქ. ტფილისში, ტურგენევის ქუჩაზე, № 11, და ღიაა დილის 9 საათიდან 11 საათამდის. (10—უ—4)

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უუდით 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 мая 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.